

პირველი პრემია
ალექსანდრე ნებულიძისილი

ყვავები

ლევიტანს რომ აქვს დახატული „არყის ხის ქალა“, ხომ იცით? ზუსტად ასეთ ადგილას ვიყავი მაშინ: ნათელი ხეები, რბილი ბალახი, ნესტიანი სოკოები, მდინარე ბაყაყების კაპელით... ვიყავი ასე უსაქმურად ამ ლამაზ ადგილას და ვცდილობდი, მდინარის ნაპირას ქვაზე აცოცებული გომბეშოსთვის ვერცხლის პირსინგი გამეკეთებინა ცხვირზე, ოღონდ ისე, რომ ვერ შეემჩნია, მაგრამ ვერ მოვახერხე: კვამლიანი ავტობუსის ჩემს ქალას მოადგა და ხმაურმა ბაყაყი დამიფრთხო, არადა, ვინ იცის, რა ლამაზი პრინცესა მემალეობდა მასში! რაღა მექნა, პირსინგი ისევ მე გავიყარე ცხვირში და ავტობუსს მივაჩერდი. გადმოვიდნენ ბავშვები და დატრიალდა კატლეტის სუნი. მაინც ვერ გავიგე, რატომ ყარს ყველა ექსკურსია კატლეტის სუნად. დაიწყეს ბალახის გათელვა. არც ეს მომეწონა, მე თუ ვახერხებ გაუთელავად სიარულს, ისინი რატომ ვერ ახერხებენ?! მერე ბურთის თამაში დაიწყეს. მეც ვითამაშე. მგონი მოვიგეთ, იმიტომ, რომ ჩვენს კარში უფრო მეტი ბურთი გავიდა, ვიდრე სხვისაში და ასე ვაჯობეთ. მერე მდინარეზე ჩავედით და ყველა პრინცესა დამიფრთხო. წყალზე ქვების გასრილალებამაც შევეჯიბრეთ. მე არ მომიგია, თამაში შევწყვიტე, იმიტომ, რომ ერთი წითელთმიანი გოგო დავინახე. ის მდინარის პირას იჯდა და ფეხები ჩახრამულ კალაპოტში ჰქონდა ჩაკიდული. წინიდან შევხედე და მივხვდი, რომ ძალიან ლამაზი და წითელი იყო. განსაკუთრებით მწვანე არყების ფონზე, რომლებსაც წვრილ ფოთლებში ცა ჩანდა. წითელ გოგონას კატლეტის სუნი არ უდიოდა და გამიხარდა... ბავშვები საჭმელად წავიდნენ და ის მაინც მდინარესთან დარჩა - ესეც გამიხარდა. დავუჯექი გვერდით და ბაყაყებზე დავუწყე ლაპარაკი, მოვუყევი როგორ ვცდილობდი ერთისთვის ცხვირში პირსინგის გაკეთებას. წითელმა გოგონამაც თავის მწვანე საყურეებზე მოიკიდა ხელი. მერე ჩემს საყურეებსა და პირსინგებზე ვუამბე: რომელი რატომ და როდის გავიკეთე, სულ მოვუყევი, თან ვუყურებდი და ვუღიმიდი. მდინარეში ტყაპუნი გავიგონე. ჯერ ჩემი რომელიღაც პრინცესა მეგონა, მერე ისევ ატყაპუნდა რაღაც. ჩავიხედე და დავინახე, რომ სადაც ჩვენ ვისხედით, იმ ადგილს ძირი არ ჰქონდა, სულ გამოთხრილი იყო და ახლა სიმძიმისაგან ინგრეოდა. ჩემი წითელი გოგო ვერ ხვდებოდა და არც იძვროდა ადგილიდან. მე ქვევით ჩავძვერი და გამოთხრილ ზურგით შევუდექი. მიწა ისევ ცვიოდა, მალე კი ის ადგილი საერთოდ წყალში ჩაინგროდა.

- წადი! - დავუყვირე. ალბათ ხმა წყლის ხმაურმა დაფარა, ვერ გაიგო, - წადი! - კიდევ დავუყვირე. მაინც არ გაინძრა. ლამის გავგიჟდი შიშისაგან, რომ ჩავარდებოდა და მოკვდებოდა. შემეშინდა და ისე დავიკვილე, რომ ხმის ძალამ მდინარე იქითა ნაპირისკენ გაწია და მერე ისე მოაწყვიტა ჩვენს მხარეს, რომ წითელი გოგო სულ გაიწიწა. მაშინ კი წამოხტა და უკან გაიწია - თმების გაწურვა დაიწყო. ის ადგილი წყალმა მაშინვე ჩაიტანა. მე ქვემოდან ამოვედი და ისევ ცქერა დავუწყე. უხაროდა, რომ გადარჩა. ხმაურში ვერაფერი გაიგო - შეეშინდებოდა. მერე ავტობუსი კვლავ დაიქოქა და ისევ დამიფრთხო პრინცესები. „ნინა!“ - დაუმახეს და ავტობუსში აიყვანეს. მე ვუყურებდი, როგორ წავიდა ავტობუსი და ის როგორ უყურებდა ფანჯრიდან მდინარეს, რომელთანაც მე ვიდექი. მერე ხეზე ავსრიალდი, იქიდან უკეთესად ჩანდა ავტობუსი. კენწეროში ავედი და დაიქუხა. ჰალიდან ყვავები წამოიშალნენ და თავზე გადამიფრინეს. მე კენწეროდან ავხტი და ყველაზე დიდ ყვავს დავეკიდე ბოლოზე - არც მას გაუგია რამე. ვეკიდე კულზე და მივფრინავდით. ავტობუსს გაუსწორდა და წითელი გოგო მწვანე საყურეებით ისევ დავინახე, რომელიც თითქმის ფორთოხალს ფეცქვნიდა.

- ნინა რქმევია... - ჩავილაპარაკე, - რა კარგია, როცა ნინა გქვია და ასეთი ლამაზი ხარ!

ავტობუსი კატლეტის სუნიანი ქალაქისკენ მიდიოდა. მე კი ყვავებს მივყვებოდი ჩემს სახლში - ცაში. საყურეები ჩხარუნობდნენ, სველდებოდნენ, ავტობუსს ირეკლავდნენ.

ამ დროს მაგრად გაიელვა და ავიხედე: განათებულ ცაზე განსაკუთრებით ლამაზები იყვნენ შავი ყვავები.

მეორე პრემია

გიორგი ორეხელაშვილი

გაყინულ გუნდებს ესროდნენ ძაღლს

სოფელია მაინც, ყველა ყველას იცობს. სახლებიც ერთმანეთს ჰგავს, ეზოებიც, თივის ზვინებიც და ბაზუბებიც... გორაკის წვერზე ეკლესია ჩარჭობილიყო. გარშემო სოფელი შემოეფინა. ეკლესიის ქვევით ლოდზე იჯდა ბაბუ და პატარებს ესაუბრებოდა:

- ბაბუბო, ზღარბი არის წაბლისფერი ცხოველი, - ამოიღო წაბლი და თვალბთან ჩამოუტარა ბავშვებს, - გველებს ერევა. დაიჭყანენ პატარები. შემოტრიალდნენ და წავიდნენ.

სოფლის განაპირას ბიჭი ცხოვრობდა. მარტო, ბებოსთან ერთად. თბილისში მიდიოდა და არ უნდოდა. იმ დღეს ეკლესიასთან იდგა ანკესით. ბაბუ შეხვდა.

- საით? - დაარტყა ხელი მხარზე.

- სათევზაოდ, - შემცბარმა შეხედა.

- ოჰ, მეც მაქვთ მაშინ. მე შენთვის მითქვამს... იცი, წაბლისფერი რომ არის?

- კი, ვიცი.

- ოჰ, შენ რა იცი, გინახავს? - დაჭყიტა თვალები ბაბუმ.

- არა.

- აბა, კიო, ვიციო?! - გააქნა აქეთ-იქით თავი.

- შენ არ მითხარი, წაბლისფერიაო?

- ხო, მაშინ, ხო, საით?

- მდინარეზე! - ამოსძახა ქვევიდან.

მდინარის ნაპირს გველები დასისინებდნენ. ანკესით დაერია ბიჭი. გაყარა. სულ გაყარა გველები.

- ზღარბი ხარ, რა! - გაიღიმა ბაბუმ.

მეორე დღეს თბილისის მიემუშრებოდა ბიჭი. დილით ბაბუ შემოვარდა ბიჭთან.

- არიქა, სწრაფად წამოდი.

- რა ხდება?

- წამო, წამო.

ტყეში წავიდნენ.

- აი, აქ იყო, აგერ იწვა.

- რა? ვინ? შე კაცო.

- ზღარბი.

- აუჰ, - შეტრიალდა ბიჭი და დადმართს დაუყვა, - გიყი ხარ, შე კიცო, ზღარბის გიყი.

- დაიცა, აქ იქნება სადმე, - ბაბუმ ხელი ჩაიქნია.

თბილისის გაემგზავრა ბიჭი.

- ჩამოსულა, ჩამოსულა, - სოფლები ისროდნენ შეძახილებს ორღობეში, - დასასვენებლად ვარო. აუწეპებია თბილისელობა.
- როგორ ხარ? კაია თბილისში? დიდია? თუ პატარაა? ლამაზია? - მიაყარეს კითხვები ბიჭებმა.
- მაიკა, ტო, - გაიღიმა ბიჭმა. დაიწყო თხრობა. ცოტა ხანში ბიჭები წავიდნენ.
- დამშვიდობება არ იცი, ბიჭო?
- სუ გაგიჟდი? - წამოიწია ერთი.
- დავაი, თუ ძმა ხარ, თოხნე.

ნაცემი გარბოდა ტყეში და ბაბუ ახსენდებოდა. საღამოვდებოდა. სოფელს პირზე ერთი სიტყვა აეკრა და დაღამებამდე აქეთ-იქიდან ტყორცნიდნენ: - გაგიჟებულა!

- დაღამდა. დაღმართზე ბიჭი მორბოდა. ხელში ზღარბი ეჭირა. მორბოდა და იხუტებდა.
- აი, ხალხო, აი, - სისხლიანდებოდა ხელზე. ეკლები მკედში შესობოდა და ტკივილისგან დავარდა. ძირს დაჯდა.
- ბაბუ, - ამოიხრჩულა. ლოდზე იჯდა და ზღარბს უყურებდა. თავი წამოყო და გაიქცა ქვევით, გველებისკენ. გათენებამდე ისმოდა სისინი. მდინარემ მოსისინეები ქვევით წაიყვანა, ზღარბებისკენ. სანთელი დაბლდებოდა. ჯუჯდებოდა. წაბლისფერი ყოფილა.

მესამე პრემია კახი მრელაშვილი

ქნარო

პირველად უზნის სტადიონზე ვნახე. ბავშვებს დაჰყავდათ აქეთ-იქით. შავი, მოკლედ გადაპარსული თმები, გამურული ცხვირ-პირი, ცოცხალი სახე და ბოხი ხმა ჰქონდა. ძალიან გამიკვირდა, რომ გავიგე, გოგო იყო. ქნარო ერქვა, ასე, ხუთი-ექვსი წლის იქნებოდა. არავინ ჰყავდა დედის გარდა. პატარა ქოხში ცხოვრობდნენ. მათხოვრობდნენ ხოლმე.

ძალიან უყვარდა ქნაროს თამაში, მაგრამ დედამისი არ ავლიდა, სამათხოვროდ დაჰყავდა, გოგონას კი თამაში უნდოდა. დედაც, თუ არ მიჰყვებოდა, სცემდა და ისე მიჰყავდა ხოლმე...

ერთხელ მარჯანიშვილის მეტროსთან ვნახე. სამარშუტო ტაქსში ვიჯექი. სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა დედამისი, ქნაროც უკან მიჰყვებოდა, მაწანწალა ძალი მიჰყავდა თოკით. არ ვიცი, როგორ მიიჩვია, მაგრამ მიექაჩებოდა და მიათრევდა საწყალ ძალს. გზადაგზა გაჩერდებოდა, შეხედავდა, მოეფერებოდა, მერე კი წამოხტებოდა გაბურძენული მაწანწალა და კუდის ქვევით გაჰყვებოდა გოგონას, რომელიც აღარ ექაჩებოდა და ხტუნვით მისდევდა დედამისს უკან.

ძალიან ცოცხალი ბავშვი იყო ქნარო. ყველასთან მიდიოდა და ეხვეწებოდა, მეთამაშეო. თუ არავინ ეთამაშებოდა, მიირბენდა აიწონა-დაიწონასთან, დაჯდებოდა და ბუტბუტებდა, თავისთვის მღეროდა, ღიღინებდა. კარგად რომ ჩამოღამდებოდა, მოვიდოდა დედამისი და ეხვეწებოდა:

- წამოდი რა ქნარო, წავიდეთ, შვილო, სახლში, ხომ ხედავ, დაღამდა რა, წამოდი რა! - მაგრამ ქნარო არა და არ მიდიოდა. მირბოდა და ჩახლეჩილი ხმით ყვიროდა, არ მინდაო.

ძალიან უცნაურია, არავინ ეთამაშებოდა ქნაროს და მაინც ძალიან მხიარულობდა, იცინოდა. თუ ვინმე აწყენინებდა, კი არ ტიროდა, ყვიროდა და ღრიალებდა. ძალიან ცუდად ექცეოდნენ ქნაროს გოგო-ბიჭები და ემინოდა, თამაშის დროს რამე არ მიქნანო.

ყველაზე მეტად მარტო თამაში არ უყვარდა ქნაროს. ერთხელ, მახსოვს, აიწონა-დაიწონას თამაშზე დაითანხმა ვიღაც ბიჭი. დაიწყეს თუ არა ქანაობა, ჰაერში ასწია ბიჭმა და გააჩერა. სახე წაუხდა ქნაროს და იქვე მყოფ ქალს დაუწყო ყვირილი:

- დეიდა, დეიდა, უთხარი, არ ადგეს რა! უთხარი, დეიდა! ვაი, უთხარი, რა!

ქნაროს დედა სადღაც იყო მთელი დღე დაკარგული, ალბათ, მათხოვრობდა, ან მუშაობდა. დაბალი, მსუქანი ქალი იყო. ჭადარა თმა და გაწამებული სახე ჰქონდა.

ერთხელ დგას შუა ქუჩაში და ყვირის:

- ნახეთ, რა უნამუსო ხალხია! - თან მწვანის კონას იქნევდა, - რა დამჰქნარი ქინძი მიაჩიქეს ბავშვს! ბავშვი ვეღარ გამიგზავნია მწვანის საყიდლად!

მერე შედარებით ჩუმად ამბობდა:

- წამო, ქნარო, ნახე, მაგათ რა ვუქნა! წამო, გამოვცვალოთ!

მაგრამ ქნაროს სულ არ აინტერესებდა არც ქინძი და არც დედამისის ყვირილი. სანამ დედამისი მემწვანის ეჩხუბებოდა, ქნარო მაღაზიებში დაწანწალდებოდა და გამყიდველებიც ჩუქნიდნენ რამე იაფიან ტკბილეულს.

ერთხელ ქნარო ეზოში ამაყად მოაბიჯებდა. ხელში თეთრპერანგაიანი თოჯინა ეჭირა. კოცნიდა ლოყაზე და თავზე უსვამდა ხელებს. ეტყობა, ვიღაცამ აჩუქა, ძალიან ბედნიერი იყო. მეორე დღეს ქნაროს აღარ ჰქონდა ის თოჯინა. გაწამებული კიბზე იჯდა და კვითინებდა. ცრემლები ლოყაზე ღვარად ჩამოსდიოდა. ბავშვებს წაურთმევიათ, ჯერ უკამპულავევით, მერე კი ნაწილ-ნაწილ დაუშლიათ და სახურავზე აუყრიათ. ქნარო აქეთ-იქით დასდევდა და ღრიალებდა. ახლა კი იჯდა ქვეყნისაგან მიტოვებული და ტიროდა.

მეორე დღეს ისევ ისეთი ქნარო იყო. დახტოდა, თამაშობდა. ცუდი მოპყრობა არასოდეს ამახსოვრდებოდა. საოცარია, თითქოს წყენები სილაზე იქარგებო, მერე ვიღაც მიდის, ხელს გადაუსვამს და მორჩა, მეორე დღეს ქნაროს აღარაფერი ახსოვს. ერთხელ, კორპუსის წინ ვიდექით ბავშვები და ვლაქლაქებდით. ქნაროც იქვე იდგა და გვისმენდა. მოსაღამოვდა. ყველა დაიშალა. დავრჩით მარტო მე და ქნარო. ქნარომ ჩემი სახელიც არ იცოდა. მეც წამოვედი სახლში. უცებ გამომეკიდა და გამაჩერა. მიყურა, მიყურა და ხრინწიანი ხმით მითხრა:

- პური მომე, რა!

თითქოს გულში ცხელი შამფურები გამიყარეს და დაჩუტესო, ისე შემეკუმშა.

- წამოდი! - ვუთხარი და ისიც ხალისით გამომყვა.

სახლში რომ შევედი, ქნაროს საჭმელი სულ გადაავიწყდა და პირდაპირ ტახტზე მიწობილი სათამაშოებისკენ წავიდა. უცებ გაშეშდა. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. ქნარო ჩემი დის ყველაზე საყვარელ დათუნას მიშტერებოდა და ხმას არ იღებდა. მე მივედი, სათამაშო ავიღე და მივეცი. გამომართვა, ჩაიხუტა. მადლობა არ უთქვამს. უკვე შინ მიეჩქარებოდა.

იმ დამეს ქნაროს, ალბათ, თავის ხმელ ლოგინში იმ დათუნასთან ეძინა.

მეორე დღეს ჩემმა დამ მთელი სახლი გადაატრიალა. მერე მკითხა:

- სადაა?

- ქნაროს მივეცი.

ჩემს დას აღარაფერი უთქვამს, ისე, ოდნავი ღიმილი გამოეხატა სახეზე.

სპეციალური პრემია
/ეროვნებით არაქართველი მონაწილისათვის /

ზოია ბეზოიანი

გინდ დაიჯერე, გინდ არა

აბა, რაღა ვთქვა, ვცხოვრობ ჯავახეთის ერთ მთიან სოფელში, რომელიც ზღვის დონიდან 2080 მ. სიმაღლეზეა, ფარავნის ტბის ნაპირზე, აბულის მთის კალთებზე, მისი სახელია ფოკა.

მე ძალიან მიყვარს ჩვენი სოფელი და ჩვენი ტბა. ის საქართველოში მოცულობით ყველაზე დიდი ტბაა. ამ ტბაში ბევრი სხვადასხვა ჯიშის თევზი ბინადრობს. აქ გაზაფხულზე მოფრინავენ ულამაზესი ფრინველები. მინდორ-ველი გვიან შემოდგომამდე ფერად-ფერადი ყვავილებით არის მოფენილი.

აქ წლის უმეტესი ნაწილი მკაცრი ზამთარია, დიდი თოვლი მოდის, ძლიერი ქარბუქით, გზები იკეტება და ექვსი თვის განმავლობაში სოფელი ყველასა და ყველაფერსა მოწყვეტილი. ტბა ისე იყინება ზემოდან, რომ ზედ ტრაქტორებიც კი დადიან.

ზამთარში თითქოს სიცოცხლე შეწყდაო, იყინება მთები, ხევები, მინდვრები. თოვლის სქელ საბანშია ყველაფერი გახვეული, თითქოს აბულის მთაზე ყინულის დედოფალი ზის და იქიდან განაგებს ჩვენს სამყაროს. ზოგჯერ ისეთი ქარბორბალა ამოვარდება, ორი-სამი დღე სკოლაში წასვლაც კი გვიჭირს. გაზაფხული ისეა გადაბმული ზამთარზე, არც შეიძინევა, უფრო გამოკვეთილი აქ ზაფხულია.

ზაფხულის მოსვლისთანავე ისევ იღვიძებს ბუნება, ბრუნდება სიცოცხლე. მინდვრები და საძოვრები ისევ ივსება ცხვრებით, ძროხებით, ისმის პირუტყვის ზღავილი, მწყემსების გადაძახილი.

ბუნების მსგავსად აქ მცხოვრები ხალხიც, მკაცრი და მიუპყრებელია. ძნელად ეგუებიან სიახლესა და ცვლილებებს. ძირითადად აქ მესაქონლეობას, მეფუტკრეობასა და მეთევზეობას მისდევენ.

ეს ის სოფელია, სადაც სომხეთიდან საქართველოში ქრისტიანობის გასავრცელებლად წმიდა ნინო შემოვიდა. ფარავნის ტბის ნაპირებთან ღამე გაათია. სწორედ ამიტომ გაიხსნა ამ სოფელში წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი, რომელმაც ჩვენს სოფელში სინათლისა და იმედის სხივი შემოიტანა და ჩვენი ერთფეროვანი ბავშვობა სრულად შეცვალა.

ეს ყველაფერი ასე დაიწყო: ისინი ტაძრის მახლობლად ერთ პატარა სახლში დასახლდნენ. მათ მოხვლას სოფელში სიხარული და თანადგომა არ მოჰყოლია. შრომობდნენ ფუტკრებით, მოიშენეს პირუტყვი, დათესეს კარტოფილი, ხორბალი. დაუახლოვდნენ მეზობლებს, დაიწყეს სომხური ენის შესწავლა და ყინულიც ნელა-ნელა გალღვა.

აღმოჩნდა, რომ მონასტრის წევრებმა ბევრი კარგი რამ იცოდნენ: ქარგვა, კერვა, მუსიკა, ხატვა. მოსახლეობა თანდათან დაინტერესდა მათი ცხოვრებით, პიროვნებებით. ზოგს სამომავლოდ ინგლისურის, რუსულის, ქართულის სწავლა აინტერესებდა, ზოგს - ხატვა. ისინი ყველას ეხმარებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამის პირობები არ ჰქონდათ. შემდეგ მათ მცირერიცხოვან ოჯახს ჩვენი ქართული ენის მასწავლებელი კლარა ფოცხვერაშვილი შეემატა. იგი კეთილი ბუნების და სათნო ხასიათის ქალია. ძალიან უყვარს ბავშვები. ალბათ დიდი შრომა დასჭირდა იმისათვის, რომ ჩვენთვის ქართული ენა შეეყვარებინა. რადგან ქართული ენის წიგნები არ გვქონდა, ვაკვეთილზე ვსწავლობდით თამაშებს ქართულად, ლექსებს, ანდაზებს, ვავსებდით რებუსებს. ამ თამაშით იმდენი ქართული სიტყვა ვისწავლე, რომ ახლა დამოუკიდებლად ვკითხულობ ქართულად მოთხრობებს და ზღაპრებს.

და ერთ მშვენიერ დღეს იღუმენია ელისაბედის კურთხევითა და საქართველოს პრემიერ მინისტრის ზურაბ ჟვანიას დახმარებით გაიხსნა მონასტერთან არსებული საკვირაო სკოლა. მე აქ სკოლის პირველი მოსწავლე ვარ. სკოლაში გაიხსნა ინგლისურის, ხატვის, შემდგომ მუსიკის ჯგუფები და დრამატული წრე.

დაუჯერებლად მოგჩვენებდათ ალბათ ისიც, რომ ოცდამეერთე საუკუნეში არც მოსახლეობას და არც სოფლის სკოლას პიანინო არ ჰქონიათ. ზოგს ალბათ არც ენახა. როდესაც საკვირაო სკოლაში პიანინო მოიტანეს, მთელი სოფლის ბავშვები მის სანახავად წავიდნენ, ყველა ცდილობდა, პიანინოსათვის ხელი შეეხოს. ეთერ მასწავლებლის დახმარებით შევისწავლეთ ქართული სიმღერები, ნოტები. დედა რებეკას მეშვეობით კი - ინგლისური.

ყველაზე საინტერესო მაინც დრამატული ჯგუფი იყო. ამ ჯგუფში ორმოცამდე მოსწავლეა გაერთიანებული. ჩემი პირველი როლი წითელქუდა იყო. დღეში ორი-სამი საათი ვმუშაობდი კლარა მასწავლებელთან ერთად, რომ წითელქუდას დავმსგავსებოდი. გამართული ქართული მეტყველება მქონდა. მონასტრის დედეების დახმარებით გავაკეთეთ დეკორაცია, შევარჩიეთ ტანსაცმელი. სტუმრებისათვის დავაროვეთ მოსაწვევი ბარათები. სპექტაკლი ახალი წლისათვის უნდა დაგვედგა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ჩვენი საახალწლო ნაძვის ხის მსგავსი ლამაზი და მომაჯადოებელი ნაძვის ხე არსად არ მინახავს. მთელი ოთახი ისე იყო მორთული ნაძვის ხის ტოტებით, გეგონებოდათ, მართლა ტყეში ვიყავით. როცა სცენაზე ავედით, ძალიან ვნერვიულობდი, რადგან ჩვენი საპატო სტუმარი პრემიერ-მინისტრი - ბატონი ზურაბ ჟვანია იყო. არ დამეცინებოდა მისი გაბრწყინებული, სიყვარულით სავსე თვალები. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ის ყველას მოგვეფერა, საჩუქრები გადმოგვცა და ჩვენთან ერთად სამახსოვრო სურათები გადაიღო.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ თითქოს ფოკისაკენ მომავალი გზა გაუხსნა ბევრ სახელმწიფო მოღვაწეს და ცნობილ ადამიანებს.

ჩვენთან სტუმრად იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარე ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი, ამერიკისა და ინგლისის ელჩები, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი, ომისა და შრომის ვეტერანები. ყველა ჩვენი კონცერტი საჩუქრებითა და სამახსოვრო სურათების გადაღებით მთავრდებოდა.

ძალიან მძიმე დღე იყო ჩვენთვის, როცა გავიგეთ ბატონი ზურაბ ჟვანიას, ჩვენი საყვარელი ადამიანის მოულოდნელი გარდაცვალება. ტელევიზიით ვუყურებდით მის დაკრძალვას და ბავშვები ვტიროდით. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქალბატონი ნინო ჟვანია გვესტუმრა, მას ჩვენი დანახვა გაეხარდა, ყველას მოგვეფერა და გვითხრა, რომ ბატონი ზურას გადმოცემით მან ჩვენ შესახებ ბევრი რამ იცოდა, რომ მას ჩვენ ყველა ვუყვარდით.

ამდენი ადამიანის შექება და სიყვარულმა ჩვენზე დადებითად იმოქმედა. დედათა მონასტერი ჩვენთვის ყველაზე საყვარელ ადგილად გადაიქცა. ვფიქრობდით მომავალ სპექტაკლებზე, ახალ როლებზე, დავდგით ქართული ხალხური ზღაპრები: „კომბლე“, „გვრიტი“, „ხუთი გოჭი“, „ემშაკი მელია“, „ჭაბუა ამირეჯიბის „ჭორიკანა კაჭკაჭი“. ჩავატარეთ პოეზიის საღამო.

ჩვენი სოფლის ბავშვებისათვის უცხოა ბალი, ვენახი, ბოსტანი, კულტურული მცენარეები. შეიძლება ბავშვმა ამა თუ იმ ხის ნაყოფი იცოდეს, მაგრამ არ იცოდეს, როგორი მცენარე იხსამს მას, როგორი ფოთოლი აქვს, როგორი ყვავილი, ალბათ ამიტომ დედათა მონასტერმა და ჩვენმა პედაგოგებმა კიდევ ერთი სამახსოვრო ლამაზი დღე მოგვეცა - „შემოდგომის დღესასწაული“.

ოთახი, სადაც ზეიმი ჩატარდა, შემოდგომის ჯადოსნურ ბაღს ჰგავდა, სადაც ყველანაირი ხილის აკილი იყო ფოთლებითა და ნაყოფით. აქვე იყო საწნახელი, ორშიმო, ქვევრი, ჩურჩხელები, ფელამუმი, ქვევრის სარეცხი, თიხის ღოჭები, ხავსი, ფერად-ფერადი ფოთლები. ჩვენ ხომ ეს ყველაფერი პირველად ვნახეთ. ბავშვებმა „შემოდგომის დღესასწაული“ წარმოვადგინეთ სიმღერით, ლექსებით.

ვიდეოკამერით გადავიღეთ ყველა სპექტაკლი და ზეიმი. ბევრი ვიცინეთ, როცა ჩვენი თავი სხვადასხვა როლში ვნახეთ. ახლა საკვირაო სკოლაში ბევრი ბავშვი დადის, ბევრს კიდევ მოხვლის სურვილი აქვს. სოფელი კმაყოფილია.

აბა, რაღა ვთქვა, ვცხოვრობ ერთ მთიან სოფელში, სადაც ცხოვრება საინტერესოდ და ხალისიანად მიდის.

საუკეთესო მინიატურა
ნუცა ნორეკია

ტავერნა „დედამიწა“ გელით

შევედი და შევუკვეთე ერთი ულუფა ხელოვნების ასორტი.

მომიტანეს. ფარსი ღიმილივ ზედ მოაყოლეს - უხვად მოასხეს.

აქ საერთოდ კარგი მომსახურება აქვთ: თავი მეფე გეგონება, ისე გაგეკლასუნებიან ტერფებზე...

სასმელს რას ინებებთო, მკითხეს, შეგვიძლია ერთგულემა და სიმართლე შემოგთავაზოთო. სიყვარული არ გაქვთ?

სიყვარული მწყურია-მეთქი, მაგრამ, არაო, ეგ ჯერ ვერ შემოგვაქვს, არ გვეყიდებაო... ისე, ცოტა მეტს თუ გადაიხდით, რამეს მოგიხერხებთო, - საზიზღრად ჩამიკრა თვალი იმ დამპალმა ოფიციატმა, იდეალური პროპორციების სახე, გლუვი კანი და ულამაზესი ნაკვთები ჰქონდა. რა მექნა, ძალიან მწყუროდა. მიდი, მოიტანე-მეთქი, ვუთხარი და თან მთელი დასტა ადამიანობა ჩავუკუჭე ჯიბეში. ვიჯექი, ვაკაკუნებდი თითებში მაგიდაზე და ნერვიულად ვეწეოდი ბედნიერებას. ვახ, ნეტავ ახლა ერთი მაგრად გამომართო და მეტი არაფერი მინდა-მეთქი, ვფიქრობდი, ის კი აგვიანებდა...

როგორც იქნა გამოჩნდა ის დამპალი, იდეალური პროპორციების ოფიციატნი, და მომიტანა ბანგი - სულმოუთქმელად გამოვცალე, ისე, რომ არც შემიხედავს, ზედ რა ეწერა. ან როდის აქეთაა, რომ ჭიქაში ჩასხმულ სასმელს ინსტრუქცია მოჰყვება, მე მაგათი მეწვრილმანე დედები ვატირე... დავლიე და გული გამეჭრა, გადამესერა, სისხლად დაიღვარა და ტვინში ჩამექცა; სუნთქვა შემიკრა; ხმაც კი წამერთვა, ისე მეტკინა და მივხვდი, რომ მსიამოვნებდა... კიდევ ერთი მომიტანე, შე დამპალო-მეთქი, ვუთხარი და კიდევ ერთი დასტა ადამიანობა ჩავუკუჭე გამაღვიანებლად სუფთა და გახამებული წინსაფრის ჯიბეში. ცოტაც დავამატე იმის გამოსასყიდად, რომ დამპალი ვუწოდე, და დაველოდე... ისევ დიდი ხნითადაიკარგა და ისევ გამოჩნდა... ისევ მომიტანა... ისევ დავლიე... ისევ გამეჭრა გული, გადამესერა, სისხლად დაიღვარა და ტვინში ჩამექცა; სუნთქვა შემიკრა; ხმაც წამერთვა, ისე მეტკინა და მივხვდი, რომ მსიამოვნებდა... ბოლოთ მინდა წავიღო-მეთქი და დამცინა, ეგრე სად არისო... ისე, ცოტა მეტს თუ გადაიხდით, რამეს მოგიხერხებთო, - ისევ საზიზღრად ჩამიკრა თვალი. ისევ ჩავუკუჭე მოზრდილი დასტა იმავე ჯიბეში... ისევ წავიდა და ამჯერად პატარა ყუთით დაბრუნდა... გავხსენი. უცნაური ფერის ამპულაზე იყო სავესე... ჰეჰ, ჭიქით რომ მოჰქონდა, არც შემიხედავს, თითქოს მაზრმავებდა მისი სურვილი. მართლა უცნაური იყო. თითქოს გამჭვირვალე, მაგრამ ყველა ფერის. თითქოს ბლანტი, მაგრამ თხელი. ის იყო ყველაფერი და მოიცავდა ყველაფერს. მივხვდი, მიმონებდა. მივხვდი, აღარ მეყოფოდა მხოლოდ მოწრუპვა... მივხვდი, მომიწევდა ბევრი შპრიცის ყიდვა, მივხვდი - დავიღუპე და მესიამოვნა... კიდევ თუ დაგჭირდებოდა, აქ ვარო, მითხრა იმ დამპალმა და ისევ ისე საზიზღრად ჩამიკრა თვალი, კინაღამ გული ამერია.

ფორმალობისთვის რამდენიმე ბანკნოტი მაღლომა გადავუხადე და ნელი ნაბიჯით წავედი კარისკენ. იმან პედანტური სიზუსტით გააპრიალა მაგიდა და ახლა სხვას გაეკლასუნა ტერფებზე. მე გამოვედი... ქუჩას გავუყვები ნელა, ნელა, ცოტა სწრაფად, უფრო სწრაფად, მერე კიდევ, კიდევ, კიდევ, დავკარი ფეხი და ავვარდი ზემოთ, სადაც ვერავინ შეახებდა ხელს ჩემს საგანძურს... ვიფრინე დიდხანს...

... და ვაგდევარ ჭუჭყიან პარკეტზე ჩუმად...

ნომინაციები:

ეკოლოგია და გარემოს დაცვა
გიორგი ელიზბარაშვილი

ჩიტების სევდა

ერთ კაცს ვიცნობ.

ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობს, ჩვენს სახლს ქვევით, ერთი ორას მეტრში. ყოველდღე ჩვენი სახლის წინ აივლის და ჩაივლის. სად დადის? - ტყეში. შემაზე დადის, ზურგით ეზიდება. როცა დრო მაქვს, ფანჯრიდან ვუყურებ ხოლმე. ზაფხულობით დილით ადრე მიდის, მზის ამოსვლას ასწრებს, რომ გზაში არ დაუცხეს, ზამთარში შუადღისას, რომ დადამებას ჩამოუსწროს. ზედ ჩემი ფანჯრის წინ ლამპიონის ბოძი დგას. იქ ისვენებს ხოლმე. მე ფანჯრიდან ვუყურებ და ვაკვირდები.

მხრიდან ხვენებით გადმოიღებს შეშას და ბოძზე მიაყუდებს. მერე ჯიბიდან ჭუჭყიან ცხვორსახოცს ამოიღებს, მოიხდის ჩამავებულ ქუდს, ოდესღაც თეთრი რომ ყოფილა, და მომიშვლებულ თავზე ოფლს იშენს. მერე თითქოს დარცხვენელი აქეთ-იქით მიმოიხედავს. თუ ფანჯრიდან ვიყურები, უსიტყვოდ გამიღიმებს. ერთი-ორი წუთი იდგება, ქარს ამოიღებს. მერე ისევ ხვენით გაიღებს მხარზე შეშას და დახეული კალომების ფლარტუნით გასწევს ქვევით, თავისი სახლისკენ.

ყველაფერი დახეული ან დაკერებული აცვია ამ კაცს, დაწყებული კალომებით, დამთავრებული ქუდით. ჩვენები ამბობენ, განა სულ მასეთი იყო, უწინ, ნორმალური ცხოვრება რომ გვექონდა, კარგი ინჟინრის სახელი ჰქონდა და კარგ ადგილზეც მუშაობდაო. ახალ ცხოვრებას ვერაფრით მიოერგო, ერთი ხანობა ვაჭრობა სცადა, მაგრამ ვალუბში ჩავარდა და თავი დაანება. დარჩა ასე საცოდავი ნაინჟინრალო. უმუშევარ კაცს, რა თქმა უნდა, შემის ყიდვის თავი არა აქვს და ზურგით ეზიდება, დაიტანჯა საცოდავიო, სინანულით თავს აქნევს მამაჩემი.

დღესაც ფანჯარაში ვიყურები. დილით გამაღვიძა შხაპუნა წვიმის ხმამ და ადრიანად წამოვბტი. ზაფხულში წვიმის ყურებას რა სჯობია და მეც ფანჯარას არ ვცილდები. ჩვენი ქუჩა დაღმართია და ნიაღვარი გრიალით მიქრის ქვევით. აგერ, ლოთი ილიკა გამოსულა ქუჩაში ტრუსების ამარა და რაღაც უცნაურ ვარჯიშებს აკეთებს, თუ ამსგავსებს. მერე დაწვა შუა ქუჩაში, ხელები თავქვემ ამოიღო და ფეხების ქნევა დაიწყო. თან, მგონი, მღერის კიდევ. წვიმის ხმაურში მისი ხმა არ ისმის.

ილიკაზე ამბობენ: უნიჭიერესი ახალგაზრდა იყო, მაგრამ ლოთობამ დაღუპაო. ის კიდევ იცინის და ამბობს - ამ ცხოვრებას ფიზიკური თვალთ რომ ვუყურო, ხომ გავგიჟდითო.

ილიკაზე ფიქრებში ის კაცი მახსენდება. ნეტავ, თუ ჩამოუსწრო ამ თავსხმას? ვერა, ვერ ჩამოუსწრია. აგერ, ზევიდან მოდის. შეჩერდა ჩემს ფანჯარასთან, მიაყუდა შეშა ბოძს და თითქოს ვიღაცამ უბრძანაო, წვიმა ერთბაშად შეწყდა. კაცი სულ მთლად სველია, სულ წურწურით ჩამოსდის წყალი. საწყალი, იქნებ გაცივდეს კიდევ. ჯერ მუნძულით მიმავალ ილიკას გააყოლა თვალი, რაღაც ჩაილაპარაკა. მერე ჩემს ფანჯარას შემოხედა, გამიცინა და ჩემდა გასაოცრად, გამომელაპარაკა.

- იცი რა?

- რა იყო, მია? - თან ფანჯარა გამოვხსენი, რომ უკეთ გავიგო, პირველად ვისმენ მის საუბარს. როგორი თბილი ხმა ჰქონია!

- რა იყო, ტყეში შენსავით კობტა და მშვენიერი ბარტყები ვნახე. Bბუდეში ისხდნენ, სამი იყო თუ ოთხი, ვერც დავთვალე, თავზე შემინებულნი დედა ჩიტი დამტრიალებდა.

- მიაზე, მია, მიაზე როგორ იყო! - ვუთხარი მოუთმენლად.

- აკი გიამბობ, კაცო (თან სველ თავს იშვრალებს). ის იყო, ცული ავწიე, ხისთვის უნდა შემომეკრა, რომ მაღლიდან ჭყლოპინი შემომესმა. ავიხედე და ზედ ჩემი თავის გასწვრივ ჩიტის ბუდე არ დავინახე? ვიცოდი, რომ აქ ფანჯარასთან იჯდებოდი და მინდოდა ერთი ცალი შენთვის წამომეყვანა, მაგრამ დედა ჩიტი ისეთ დღეში იყო, რომ შემეცოდა. შვილი ვეღარ წავართვი. წავედი და სხვა ხე მოვჭერი.

- ძიავ გეხვეწები, შენი ჭირიმე, ხვალ რომ წახვალ, ერთი ცალი წამომიყვანე რა! - ვცმუკავ ფანჯარაში და ყელს ვუწევ, - ძიავ, ძალიან გეხვეწები რა!

ერთი სიტყვით, იმდენი ვეხვეწე, მგონი დავიყოლიე. მერე მეკითხება, როგორი ბიჭი ხარ, მშობლებს ხომ არ აჯავრებო. არა, რას ამბობ, დამჯერი და კარგი ვარ-მეთქი. იცინის და მიდის, კარგი, ვნახოთო.

ორი დღე ფანჯარას არ მოვშორებივარ. კაცი არა ჩანს. ბებიჩემმა ამბავი მოიტანა - გაციებულა და წვესო. მე მანც ქუჩაში ვიყურები, იქნებ გამოჩნდეს-მეთქი. მესამე დღეს მართლაც გამოჩნდა. შემა ბოძს მიაყუდა და დაღლილი თვალებით ამომხედა.

- ძიავ, ბარტყი? ჩიტის ბარტყი რა უყავი? - მოუთმენლად ვეძახი გამომხსნილი ფანჯრიდან.

კაცი თავჩალუნული დგას და ხმას არ იღებს.

- ძიავ, ბარტყი, ბარტყი! - ვეძახი მე.

- ეჰ, შვილო!.. ამოიგმინა კაცმა და თვალები აუცრემლიანდა.

- რა ძიავ, რა? - ვატყობ, საქმე ცუდადაა და მეც მეცრემლება თვალები.

- რა, შვილო და, განა ყველა კაცი კაცია! რამდენი ნამირალა ამ ქვეყანაზე. ის ხეც მოუჭრია ვიდაცას და ბარტყეზიც დაუხოცია.

სულ დასრესილ-დაჭყლეტილები ეყარნენ ანაკავ ტოტებში. Fუჰ, იმის კაცობას, სხვა ხე ვეღარ მონახა? ტყეში ხის მეტი სხვა რაა?

ცოტა ხანს კიდევ ვუყურეთ ერთმანეთს. მერე იმ კაცმა აიკიდა ისევ შემა და შინისკენ გასწია. წავიდა და თან წაიღო ჩემი ცრემლები და დახოცილი ჩიტების სევდა.

ერთი კვირის შემდეგ კი მისი გარდაცვალების ამბავიც მოვიდა. გაციება გაურთულდა და ფილტვების ანთებამ მოკლაო.

ჩვენი უტყვი მეგობრები

ბარბარე გეთია

მე მინდა მოგიყვეთ გარინჩაზე

კიბეებზე ჩარბოდა, სადღაც ეჩქარებოდა. ფეხების ბაკუნზე ლეკვი შემინდა, უფრო მიიყუჟა კიბის ქვეშ, აწკმუტუნდა. ბიჭი მობრუნდა, შეხედა, მერე გაიქცა, ყურადღება არ მიაქცია. მერე ინანა, მაგრამ თიკოსთვის რა ეთქვა, ლეკვი ვნახე, შემეცოდა და “სტრელკაზე” არ მოვედიო? გაებუტებოდა და მერე..

მოკლედ, სადამოს ლეკვი ისევ იქ დახვდა, საცოდავად მიწოლილიყო სადარბაზოში, თვალები ჩასისხლიანებოდა, ტალახიანი იყო სულ. ჯერ ვერ გაბედა, მერე მივიდა, დიდხანს უყურა, მერე გაეთამაშა. ლეკვი აწკმუტუნდა, წამოხტა, კოჭლოდა. ბიჭი შებრუნდა, “აბა კარგად, წავედიო”. ძალი აწკმუტუნდა, გამოედევნა. კიდევ ცოტა ხანს ითამაშეს. მერე ისევ დაემშვიდობა, ლეკვი აღარ გამოედევნა, კიბის ქვეშ დაიმალა, თითქოს გაიხურა. ბიჭმა კიბის ქვეშ შეიხედა, დამელოდეო. ლეკვი წამოიწია, თამაში უნდოდა, იღრინებოდა. ბიჭი ავიდა. ცოტა ხანში პურის ნატეხი და რაღაც ძველი ქურთუკი ჩამოიტანა. იქვე დაჯდა, საფეხურზე და უყურებდა დამშეული ლეკვი როგორ მივარდა პურის ნატეხს. მერე ძველ ქურთუკზე დააწვინა, არ უნდოდა, მიჰყვებოდა.

- მეც მინდა, რომ წაგიყვანო, დედჩემმა არაო, ეგლა მაკლიაო. როგორ არ უყვართ ძაღლები! ჩემს კატას დამიფლეთსო, ასე რომ, მამას დაველოდოთ. მალე ჩამოვა, შენ აქ იყავი, საქმელს ჩამოგიტან. ხვალ ბიჭებს ვეტყვი და დაგბანო.

- აუ, ბიჭო, კოჭლი როა, ტეხავს.

- რა ტეხავს, ძან საყვარელია.

- რაო დედაშენმა, არაო?

- დაიცა, ჩამოვიდეს მამაჩემი! დედაჩემის კატას ფანჯრიდან მოვიფრიალებ!

ლეკვი მზეზე მიწვა, დაისვარა. ისევ დაბანეს, აწამეს საწყალი. სამაგიეროდ, ყველა გაწუწა. პირსახოცი ჩამოიტანეს.

დედა არ ატანდა, მანც წამოიღო. შეახვიეს, გაამშრალეს.

- ბიჭო, სახელი?

- არა აქვს.

- არ დავარქვათ?

- დავარქვათ, მაგრამ რა?

- ჟორჟიკა!

- აუ, მაგარია, ხო იცი, ჰა, რას იტყვით?

- მაშინ მურია.

- მურიას ძან ჰგავს! პირდაპირ, მხედველობა გაქვს..

- ხო, ხო, კარგი, მაშინ ზასა დაარქვი.

- ო, ეგ მართლა მაგარია!

- არა, ბარემ პირდაპირ თქვით “ზარსა” და მორჩა.

- ზარსა არა, ზარსელონა!

- შენ, საერთოდ, ჩუმად!

- გარინჩა!

- მომინდომა, პელე არ გინდოდა?

- არა, მარადონა ჯობია.

- შე დებილო, კოჭლია!

- ახალი ამბავი!

კიდევ დიდხანს კამათობდნენ, მართო იმ დღეს არა, მერეც, მთელი ორი კვირა. მერე თედო ბაბუს მოეწონა “გარინჩა”, როგორც ძველ ფეხბურთის ფანს და დაუძახა, მერე გოგია ბაბუმაც მიზამა და ეზოს ძველმა თაობამ სახელი უკვე შეარქვა. ცოტა ხანში სხვებიც მიეჩვივნენ.

- ჩამოვიდა მამაშენი?

- ხო,

- რაო?

- არაო, - თავჩალუნული აუყვა სადარბაზოს კიბეებს. გარინჩა ეზოდან უყურებდა.

გარინჩა ყველას უყვარდა, ბიჭს - განსაკუთრებით. ყოველდღე თამაშობდნენ. მამამ ნება დართო, მაგრამ როცა ნახა, არაო, ცხვირი აიბზუა, კოჭლიაო. ახალს გიყიდიო, უთხრა, კავკასიურს. არ უნდოდა ნაგაზი, გარინჩა უნდოდა ნარტო. პროტესტის ნიშნად სახლში ხმას არავის სცემდა, ან ეზოში იყო ან თავის ოთახში.

გარინჩა მთელი დამე კარებთან იყო აყუყული, თათებს აფხაჭუნებდა, წკმუტუნებდა. მეორე დღეს სახლში შეიყვანა, არავინ რომ არ იყო მაშინ. თავის ოთახში ჩაკეტა, გაშვებდას არ აპირებდა. სახლში სხვა გზა არ ჰქონდათ, გარინჩა დაიტოვეს.

ზოგჯერ ეზოსკენაც გაურბოდა თვალი. ერთხელ ჟორჟიკა ბაბუმ თქვა, ეზოს უცხო ძაღლები შემოეჩვივნენო. გარინჩამაც უმატა კარზე თათების ფხაჭუნს, წკმუტუნს და ყეფას. მერე კარები დარჩათ ღია და გაიქცა, დაიკარგა, ვერ იპოვეს. მამამ ნაგაზი მოუყვანა, კავკასიური. ფუმფულა იყო სათამაშოსავით, რბილი, თბილი, მრგვალი და საყვარელი.

ერთხელ ბიჭი ფანჯრის რაფაზე იჯდა და პატარა ლეკვს ეთამაშებოდა. ეზოში ძალი აყვავდა, იქვე იდგა, ფანჯარასთან, ხის მირას, რომ აბანავეს, იქ. წყლიანი თვალბრუნებით უყურებდა ბიჭს, მერე ლეკვს შეხედა, თავი დახარა. ბიჭი წამოხტა, საფეხურებს გადაახტა. გარინჩა აღარ იყო, მუხრანული მიუყვებოდა დანაგვიანებულ ქუჩას, მერე გაუჩინარდა.

ჩვენი უტყვი მეგობრები

ანა დაბრუნდაშვილი

ორლარიანი კურდღელი

პატარა ფუმფულა კურდღელი, ორ ლარად რომ ვიყიდეთ ბაზარში, ძალიან შეგვიყვარდა. ძალიან გვიყვარდა ანას სახლიც სოფელში, სადაც ერთი კვირით ვიყავით სტუმრად, გრილი ეზოც და, როცა ამ ეზოში ჩვენი კურდღელიც გაიბრუნდა, გული მთლიანად გვეცხებოდა სიყვარულით. ერთ წვიმიან დამეს შემინებულეს გამოგვეღვიძა. წვიმის კი არ შეგვეშინდა, უბრალოდ, გაგვასენდა, რომ ჩვენი საყვარელი კურდღელი მარტო იყო და სველდებოდა.

- ადექი ჩქარა, მოვძებნოთ, - ანამ საბანი წამართვა. მე ძილი მერჩივნა, მაგრამ თუ შენი ორი საუკეთესო მეგობარი დამე წვიმაში გარეთ გადის კურდღლის სამეზნელად, რა მეგობარი ხარ, თუ არ გაჰყვები. ძველი სახლის იატაკი ისე ჭრიალებდა, როგორც საშინელებათა ფილმებში. იმ წამს მეგონა, რომ მთელი მსოფლიოს ბოროტი სულელები იქვე იყვნენ ჩასაფრებულნი.

- ვაიმე! - იკვილა სოფომ.

- რა ხდება?

- უცებ მეგონა, რომ ის მანიაკი იყავი, ამას წინათ რომ ვნახეთ კინოში.

- რომელი? კუზიანი რომ იყო და ცალთვალა?

- ხო, რა ვქნა, ძალიან ჰგავხარ.

- იდიოტი ხარ. გააღე კარი.

- არ იღებ?

- კედელს აწვეები და როგორ გაიღებ! - კარი შევაღე და ეზოში გავედით. წვიმდა.

- აღარ შემოდოდა, სახლში შევიდით, - ვთქვი ნახევარი საათის შემდეგ.

- აბა, შენ იყო მაგის ადგილზე! - სინდისზე შეგვაგდო ანამ და ისევ გავაგრძელებთ ძებნა.

კიდევ კარგი, მოვიფიქრეთ და კიბის ქვეშ შევიხედეთ. ჩვენს კურდღელს მშვიდად ეძინა და წვიმა არც ეკარებოდა.

- ორლარიანი კურდღლისთვის ძალიან ჰკვიანია, - ვთქვი დანაწებით.

იმედი გაგვიცრუვდა. შევედით სახლში და, რა თქმა უნდა, მეორე დღეს თბილისში მოგვიწია წასვლა. სიცხიანებს რაღა გვინდოდა სტუმრად. მერე ზაფხულიც დამთავრდა და სწავლა დაიწყო.

- ჩვენი კურდღელი გახსოვს? - მითხრა გუშინ ანამ, - სადღაც გაიპარა.

არადა, ჩვენ იმ დამეს თავს ვწირავდით, რომ გადაგვერჩინა!

ქართული ამბავი

თამარ ნამგლაძე

თბილისური ეზო

არაიტალიური სახლის ფანჯარაში მკრთალმა სინათლემ შეაღწია. მადვიმარას ოთახი შემოედგინა. რვას წუთები აკლდა. წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა. იმ ოთახში ჯერ კიდევ ძილისმომგვრელი სიბნელე იყო გამეფებული. დარბაზი გახსნა და იმწუთშივე დამშვიდდა. მეზობელი დეიდა უკვე ამდგარიყო და ფანჯრიდან მზის ამოსვლას ელოდებოდა (დეიდას `ბებია~ უფრო შეეფერებოდა, მაგრამ სჯეროდა, რომ დეიდა იყო, ხოლო მოსიყვარულე თანამოსახლეები არ უმხელდნენ). თბილისში ბოლო რამდენიმე დღე გადაუღებლად წვიმდა, დეიდა კი ამის გამო ფანჯრიდან ვერაფერს ხედავდა (განა, ცოლო არ იყო დეიდა?).

ბაბუდა საუზმეს იმზადებდა, როცა კედლის მიღმა ბრაზუნის ხმა გაისმა და კედელი კარადებითურთ შეხანჩარდა - აჰა, ჩანს, ევროპელმა მეზობელმაც გაიღვიძა და მაგიდა კედელს მიაჯახა (ასეთი ჩვეულება აქვს).

ბაბუდამ ისაუბრა, ჩაიცვა და დროშიან სკოლაში წავიდა. კიბეებზე ჩასვლისას მეზობელი მკითხავის კარს ჩაუარა. კარი გაიღო და ყოვლისმცოდნე გამოჩნდა. მხრებზე კარტის ნახევები ეყარა, თავზე და სახეზე კი ყავის ნალექი აჩნდა.

- დეიდა გადალიკა, კლიენტი ისევ უკმაყოფილო დარჩა?

- ამ ხალხს მომავლისა არაფერი გაეგება, - ჩაილაპარაკა გადალიკამ და კარი დახურა.

პირველ სართულზე ორი ადამიანი ცხოვრობდა. პირველი: უმაღლესი მათემატიკის მცოდნე ჯონდი ჩხიკვაძე, რომელსაც მთელი ცხოვრება ისტორიკოსობა სურდა. ის გახლდათ საშუალო ასაკის, საშუალო სიმაღლის და სათვალესაც საშუალო ზომისას ატარებდა. ნამდვილი ინტელიგენტი გახლდათ ისტორიკოსი საუბრისას, მაგრამ მათემატიკის ახსნისას შეტევები ეწყებოდა. სამწუხაროდ, მუდმივად მათემატიკას ხსნიდა, ამიტომაც სახლთან მუდმივად იდგა სასწრაფო.

მეორე მეზობელი ანუშკა გახლდათ. მხიარული ქალი, რომელიც ყოველ დამე ესტრადას უსმენდა და ბატონ ჯონდის დამატებით უფრო ხობდა ისედაც დამფრთხალ ძილს.

ამ დილას სკოლისკენ მიმავალ ბაბუდას ჯონდი ბიძია მეტად სავალალო მდგომარეობაში დაუხვდა. საწყალს თვალები და ყურები დასწითლებოდა. თვალები - უძილობის, ყურები - სიმღერებისგან.

- ავად ხარ, ჯონდი ბიძია?

- ბაბუდას შემოვევლე, ანუშკა მთელი დამე თავის ხულიგნურ სიმღერებს მასმენინებდა. მეტი აღარ შემოდოდა, დამე - სიმღერები, დღისით - ელემენტარული ხდომილება! მკლავევენ!

ბატონმა ჯონდომ სული მოითქვა და წაიწმუტუნა: დეიდის გაღვიძებას ველოდები, შეგჩივლებ.

- დეიდამ უკვე გაიღვიძა, დავინახე - ფანჯრიდან იყურებოდა.

- მართლა? მაშინ წავალ, დაველაპარაკებ.

დეიდასა და ანუშკას დიდი ხნის მტრობა აკავშირებდათ. ერთ დამეს, როდესაც დეიდა ერთი მეტად საინტერესო ადამიანის საუბარს აყურადებდა, ანუშკამ სიმღერები ჩართო და მთელ სახლს რიტმში როკვა დააწყებინა.

ხმაურში დეიდამ ველარაფერი მოისმინა, ადულტულმა ანუშკასთან ჩაირბინა და მაგნიტაფონი თავზე დაამსხვრია.

ანუშკამ დავითი დაუხია, სადაც დეიდა მეზობლების შესახებ ცნობებს აგროვებდა. ამან დეიდა მთლად გადარია და სიბრაზისგან ფანჯრიდან ტრომბონი ისროლა. ტრომბონი კი ანუშკას შესამე ქმრისგან ჰქონდა სახსოვრად. იქ ამბავი დაიწყო...

პატარა სახლი სამი თვე ცდილობდა ცხოვრების ჩვეული რიტმის აღდგენას. ანუშკა და დეიდა კი ველარა შერიგდნენ.

ბაბუდა ამასობაში სადარბაზოდან გავიდა და სკოლისკენ გაემართა. უკან კი მოულოდნელობით საცხე სახლი მოიტოვა.

იელვა. წვიმამ მამაპაპურად დაუშვა და ფანჯრებს შარაშური დაატეხა. დეიდამ სასწრაფოდ ოთახში შერგო თავი და თან, დროის დაუკარგავად, წვიმაც მიაწყველა. აბა, რა ეწვიებოდა, როცა მოპირდაპირე სადარბაზოდან ფაშაფაშა „ინტელიგენტი“ გამოვიდა და მანქანისკენ დაიძრა. სანამ მანქანამდე მივიდა, ცა კიდევ მოიღრუბლა, კიდევ წამოწინწკლა და კიდევ იელვა. შედეგად: დეიდამ ვერ გაიგო საით მიემართებოდა თანამეჭურე.

პირველ სართულზე შავი ფერის ფარდები შეირხა და მათ უკან მათზე შავი ბატონი ჯონდი გამოჩნდა. შავი ფარდები აღარავის აკვირებდა - ბატონი ჯონდი მწუხარებას გამოთქვამდა სამუშაო კვირის დაწყების გამო. სამაგიეროდ, პარასკევიდან კვირა საღამომდე ფარდებს არ კიდებდა - ბედნიერების ნიშნად: ჰოდა, სწორედ კვირა საღამო იყო, სინათლე ერთი საათია არ ენთო (ეკონომიის მიზნით). ფარდების გამოცვლაც მოესწრო და გულის გადასაყოლებლად საყვარელ საქმეს - ისტორია-არქეოლოგიას მიბრუნებოდა. წვიმის დაშვების მომენტში ის მეტად საჭირო საქმეს აკეთებდა - ცდილობდა გაერკვია, რამდენი წლის იყო კარადაში აღმოჩენილი შპროტის კონსერვი, რომელსაც ეტიკეტზე ასოები წაშლილი იყო. ბატონმა ჯონდომ თავი გააქან-გამოაქანა და ჩაილაპარაკა: მოსწავლეებს რა უნდა მოსთხოვო, წვიმაც კი თავის ნებაზე მოდისო.

წვიმამ კი უმატა, ისე უმატა, რომ გადალიკამაც კი გამოიხედა ფანჯრიდან, თვალეები მოწყურა და გვერდზე მდგომ კლიენტს მიმართა: აბა, მე რა უნდა გიწინასწარმეტყველო, მეტეოროლოგებიც კი ვეღარ ამბობენ ზუსტ პროგნოზსო. ანუშკას კი ჯერ ვერ გაეგო წვიმის ხმა, ანდა წვიმისთვის სად ეცალა, ყურებში უმელოდო მელიოდიები უყვდებოდა. ერთადერთი ადამიანი, ვინც თავს კარგად გრძნობდა, ბაბუდა იყო, რომელიც თავის ფიქრებს მისცემოდა.

ეთნოკონფლიქტი

ჯამილა მუსხაჯბა

მე სად ვარ, ის სად არის!

- როგორ მშია! ეს რომ დედამ იცოდეს, ხომ სასწრაფოდ მომიზადებდა სადილს? - ვფიქრობ და გზადაგზა გრიშა ბაბუასავით გრძელ ნაბიჯებს ვდგამ. ჩემს სახლთან მისასვლელ მოკლე ბილიკს დავადექი. მონჯღრეული ჭიშკარი შევალე და ვიღაც მეძახის: - ჯამილა, ჩამოდი რა ჩემთან!

მოვიხედე, მაგრამ ვერავინ დავინახე. გაფაციცებით დავიწყე თვალღებება. ნინი ყოფილა. მზვერავივით ამოეყო თავი პატარა თხრილიდან.

- რატომ მეძახი? რა გინდა? ძალიან მშია, ვერ ჩამოვალ! - გავძახე მეც.

- გეხვეწები, ჯამილა! შენს დედიკოს გაფიცებ, ჩამოდი!

ისეთი მუდარით მთხოვდა, რომ წინ წასასვლელი უკან გავიქეცი.

ნინი ჩემი ახალი მეზობელი არაა. ის ჩემს სკოლასთან ახლოს, საერთო საცხოვრებელ სახლში ცხოვრობს. მას მხოლოდ კორპუსის ეზოში ვხედავდი. მუდამ დახტოდა და რაღაცას ფატიფუცობდა. ჩემს დანახვაზე ყოყინით შემოჰკრავდა ტაშს და გამბით მეძახდა: ჯამილააა...! ერთხელაც ხელი დავუქნიე და ახლოს მოვიყვანე. ვკითხე, თუ საიდან იცოდა ჩემი სახელი.

- არსაიდან, შენი ამხანაგი გეძახდა. ჯამილა ლამაზი სახელია და შენც ლამაზი ხარო.

- რა საინტერესოა, გამეღიმა გემრიელად.

ნინი ჩემზე შვიდი წლით უმცროსია. ესეც რომ არა, მასთან მეგობრობისთვის სულ არ მცალია. მაგრამ მაინც შევპირდი, რომ ვიმეგობრებდი.

- სწრაფად ჩამოარაკრაკე რა გინდა! - დოინჯემოყრილი წავადექი თავზე.

- ჯამილა, დღეს ჩემი სტუმარი იქნები? ხომ ძალიან გშია?

- მშია... მერე რა?

- ნახე, რა კერძები მოგიმზადე.

გადავხედე ნინის სუფრას. გული ამერია. ისედაც მშვიერმა კუჭმა უარესად შემომიტია. საიდანაც, ალბათ, ნაგვიდან, მოეტანა ჭურჭელი - დამტვრეული ჭიქები, ბოთლები, თევზის ნატეხები, კბილემშეჭმული ჩანგლები, თუნუქის ქილები. დაენაყა ბალახი, მოეზილა ტალახი. ამაზე სულ ამირია გული. მხოლოდ ერთი ფიქრი მქონდა - სასწრაფოდ გავცლოდი იქაურობას.

- ნინი, ყოჩაღ, მჯერა, გემრიელი კერძები გექნება მომზადებული. ახლა ძალიან მეჩქარება. ხვალ აუცილებლად გამოგივლი, კარგი?

არც კი დავლოდებოვარ ნინის პასუხს, ისე გამოვიქეცი. ის კი რაღაცას მეხვეწებოდა, მემუდარებოდა. აღარაფერი მესმოდა.

გავრბოვარ და მხოლოდ ჭამაზე ვფიქრობ.

სულშეწუხებული შევევარი სახლში, ჩანთა კართან დავავდე. სამზარეულოში გავჩნდი. ლამის ქვაბში ჩავევარი, მაგრამ შიგ არაფერი დამხვდა.

- დედა, მშია!.. სადილი არ მოგიმზადებია?

- ჯამილა, მომეხმარე, ბავშვი დააძინე.

- დედა, მშია!..

- მადროვე, შენ ბავშვი დააძინე, მე რაღაცას შეგიმზადებ. ან რა უნდა გავაკეთო... ამაზე ფიქრმა ცალკე დამტანჯა... - გააბა თავისთვის ლაპარაკი დედამ.

ძალაგამოლეული ჩემს პატარა დაიკოს მივუჯექი. ძილი სულ არ ეკარებოდა.

მეორე დღეა. სკოლაში ვარ. მიხარია, ქართულსა და ისტორიაში ათ-ათი ქულა მივიღე. გაკვეთილი დამთავრდა თუ არა, გახარებულმა სახლისკენ მოვკურცხე. მინდოდა დედისთვის მეხარებინა ჩემი წარმატება. ჭიშკარი სასწრაფოდ შევალე. გაიჭრიალა, ვიღაც მეძახის... და კვლავ ნინი... არც კი დავფიქრებულვარ. უნებურად ჩავხტი მის „სახლში“, მინდოდა მისთვის მეხარებინა დღევანდელის შესახებ.

- არც ახლა გშია? - მკითხა ნინიმ.

- არა, დღეს ისეთი მამდარი ვარ!.. ორჯერ ათი ქულა მივიღე. იცი, ნინი, ეს რა ბევრია? - ხელეზივ მოვიშველიე.

ათი ქულის გაგონებაზე ნინის თვალეები გაუფართოვდა.

- ათი დედამ მითხრა, ბევრიაო.

სტუმრის როლის შესრულებას შევუდექი, ნინი კარგი მასპინძლობისთვის შევაქე, მაგრამ დახეთ, ერთი კერძიც კი არ ჰქონდა მზად.

- ნინი, რატომ არაფერი გაგიმზადებია?!

- სტუმრები მყავდა და ყველაფერი შემიჭამეს. ახლავე გაგიწყობ სუფრას, - კისკისებდა ნინი...

- მოდი, სანამ შენ კერძს მოამზადებ, მანამდე ჩემს მოთხოვნას წავგიკითხავ.

- აუ, მწერალი ხარ?! რუსთაველი ხარ? - გაკვირვებისაგან ერთ ადგილას გაქვავდა. უამრავი კითხვა მომყარა: ვეფხისტყაოსანს დაწერ? ათ მოთხოვნას ერთად დაწერ? მეც დამიწერე დიდი ლექსი!

უფრო გავმხიარულდი.

ნინი ძალიან საყვარელი, უცნაური გოგონაა. დედასთან ცხოვრობს, მამა ადრე გარდაეცვალა. ბებია და ბაბუა აფხაზეთში დაეღუპნენ. ახლა ნინი და დედამისი ლტოლვილები არიან.

ვიდრე კითხვას დავიწყებდი, ნინი ხან რას ყვებოდა, ხან რას. ჯერ წითელქუდა წამოიწყო, მერე კომბლეს ცხვარზე დაიწყო ჯავრობა, „იავნანამ რა ჰქმნა?!“ თავისებურად მიაბმო, ჰარი პოეტისაგან გადსწვდა. როგორც იქნა, კერძიც მოამზადა და გაასხენდა, რომ ჩემთვის უნდა მოესმინა.

- რა ჰქვია შენს წიგნს?

- „გოგონები მეშვიდე „ბ“ კლასიდან“. ჩემს კლასელებზეა.

ნინი დიდი ინტერესით მისმენდა, თან უამრავ კითხვას მაყრიდა. დამღალა.

- იცი, ნინი, რომ გავიზრები, ფილმი უნდა გადავიღო ჩემი მოთხრობის მიხედვით.
ნინიმ იქაურობა კვილით აიკლო.
- მეც ხომ გადამიღებ ფილმში, ტელევიზორში გამოვჩნდები, შენ თუ გაიზრდები, მეც გავიზრდები. დიდი ჭკუა მექნება, დაგიჯერებ, არ გაგაბრაზებ.
ხვეწნა-მუდარით ლამის ყელი გამოიღო, ბოლოს გული დაეღალა, დარწმუნდა კიდევ, რომ აუცილებლად გადავიღებ ფილმში, ხელი მომიკა და მითხრა, კალთაში ჩამესვა. მეც მოვკალათდი და ნინიც მოხეხებულად ჩამიჯდა კალთაში.
- ჯამილა, იცი დედამ რა მითხრა? დიდი რომ გავიზრდები... დიდი... იცი რამხელა? - სკოლაში რომ მივალ... ჯამილას გაგაყოლებ ყოველ დილითო. ჯამილა ჭკვიანი გოგაო.
მერე მიაბრუნა ჩემი პირისახე თავისკენ და მითხრა:
- ჯამილა, მე დედიკოსავით მიყვარხარ, შემშირდი, რომ ჩემი სტუმარი იქნები ყოველდღე.
არ ვიცი რატომ, მაგრამ გული მეტკინა. უცებ ცამ იელვა, მერე იგრილა, კიდევ იელვა. შავმა ღრუბლებმა დაფარა ცა. შემინებულები წამოვვარდით. გვეჩვენა, ირგვლივ ყველაფერი ილეწებოდა. ნინის ხელი მაგრად ჩავჭიდე და გავიქეცი.

მას შემდეგ ნინის ხშირი სტუმარი ვიყავი, ის კი ჩემი მხიარული, გულუხვი მასპინძელი. ისე არ მივიდოდი შინ, რომ ნინის პატარა სახლში არ შემევილო.

ერთ დღეს ოჯახი დამახვედრა:
- ეს ჩემი ქმარია, ეს კი შვილია, - გამაცნო.
- იცი, ჯამილა, აქ ყოფნა მიხარია, მე დედიკო ვარ, შვილი მყავს, ხომ კარგია... ოჯახი მყავს, ახლა ცეცხლს დაგინთებ, ჯამილა, ხომ გიხარია?
- კი, მიხარია.
- ჯამილა, იცი, ჩემი დედიკო ავადაა. ახლა ნატო დეიდაა მასთან.
- ვინაა ნატო დეიდა?
- მეზობელია, დედიკოს დაქალია. ხომ დამილაგებ სახლს, როცა დედიკოსთან ვიქნები?
- რა თქმა უნდა, მაგრამ რა სჭირს დედას?
- ექიმმა მითხრა მორჩებაო.

ეს უცნაურად მეჩვენა. ნინის დავაკვირდი. გულმოდგინედ ალაგებდა იქაურობას, უჯავრდებოდა ქმარს, ეფერებოდა შვილს...

იმ დღეს ძალიან ციოდა. გავცვივდი. თითქმის ორი კვირა ვიწეკი. დედამ მეზობელს გამოართვა წამლები, ბებიას ლილიმაც შინაურულად მიმკურნალა და ფეხზე წამოვდექი. სკოლაში წასვლა მინდოდა, მაგრამ დედა არ მანებებდა, გრიპი არ შეგიბრუნდესო. ბოლოს ჩემმა სიჯიუტემ სძლია და წავედი სკოლაში.

გავლისას ნინის „ოჯახს“ გავხედე. დილა იყო და ნინი, რა თქმა უნდა, იქ არ იქნებოდა. გამოვლისას შევეუარე, მაგრამ არ დამხვდა. საოჯახო ნივთები იქვე იყო, „ქმარი“ და „შვილი“ კი არ დამინახავს. ნინი არც მეორე და არც მესამე დღეს არ გამოჩენილა.

ცნობისმოყვარეობამ მძლია და სადილობისას დედას ვთხოვე:
- დედა, აქ, ჩვენთან, შინებში, კაიტამბა ღია ცხოვრობს, იმასთან მივალ, შეიძლება?
- შვილო, ეგ ქალი გარდაიცვალა.
მოულოდნელობისაგან ჭიქა გამივარდა.
- ნინი, ნინი სად აის?
- ნინი ვინ არის შვილო?
- ნინი მისი შვილია...
- ასე თქვეს, შვილი მამის მამა წაიყვანა აფხაზეთში, აქ არავინ ყოლიათ ახლობელი...
ხმის ამოუღებლად გავვარდი გაეთ. სულმოუთქმელად ჩავიბრინე ბაღი, ჩაის პლანტაციები და ნინის სახლში აღმოვჩნდი. იქ ამოვხეტე გულიდან ყველაფერი: ტირილიც, მონატრებაც, წუხილიც, სინანულიც. არ ვიცოდი, რა მექნა, ვიჯექი და ნინიზე ვფიქრობდი: „ჯამილა, მე დედიკოსავით მიყვარხარ!“ ...მაგრამ მე სად ვარ, ის სად არის!..

სოციალური თემა

თამარ ელოშვილი

ანა და მარიამი

ზამთრის ცივი დილაა; მალეძარა რეკავს; ეს ზარი დედას ეკუთვნის. ის დილით ექვსის ნახევარზე მიდის სამსახურში და სიფრთხილისათვის - არ ჩამეძინოსო, მალეძარას მომართავს ხოლმე. ისევ ძილბურანში ვარ; მიფრინავ უკან, სიზმარეთში და შორიდან ჩამესმის კარის გაჯახუნების ხმა. რა სწრაფად გადის დრო, ისევ კარის ხმა მალევიძებს - დედა დაბრუნებულია; უკვე ცხრა საათია და მე და ჩემი ძმები კი ვაგრძელებთ ლოგინში ნებვირობას, რადგან ახლა ზამთრის არდადეგებია და სკოლაში არ მიგვეჩქარება.

ღუმელი საამოდ გუგუნებს, დედა გადი-გამოდის, რაღაცას საქმიანობს. ასეთ დროს ძალიან მიყვარს ლოგინში კითხვა. მართალია, მიშლიან, მაგრამ მაინც ვახერხებ ხოლმე. დღეს კი კითხვას არ ვაპირებ, სხვა აზრმა გამიელვა თავში. მოდი ცოტას „წავიცეკებ“ ძმებთან, ავახმიანებ, გამოვაფხიზლებ სახლს, კარგად გავერთობი, შემდეგ კი მათემატიკას ჩავუჯდები.
- დედა, დღეს ანა და მარიამი იყვნენ შენთან?

დედა ამ კითხვას მიჩვეულია და უკვე მექანიკურად მაპასუხობს:
- კი შვილო.
- წაუღე რამე, თუ დაგავიწყდა? - ვეკითხები, თუმცა დარწმუნებული ვარ, თანხმობას მივიღებ.
- ყველი და პური.
- რატომ ვაშლი არ გაუყოლე, გუმინ ხომ თქვი, ვაშლებსაც წავიღებო?
- დამავიწყდა, არა უშავს, შევპირდი, ვაშლს ხვალ მოგიტანთ-მეთქი, ძალიან გაუხარდათ.
დავწყნარდი, ღრმად ამოვიუსნთქე, თითქოს დიდი პრობლემა გადამიწყვიტოს. წინასწარ ვიცი, დღეს ანა შემხვედბა, შორიდანვე ამიწვეს ხელს და შემეხმიანება:
- თამარ?.. როგორა ხარ, გო?..

მეც გავუცინებ, მოვეფერები, როგორი ლამაზი ხარ-თქო, ვეტყვები.
ის გაინაზრება, თვალს გადაატრიალ-გადმოატრიალებს და სიამოვნებით აკრუსუნდება:
- იი... კარგიიი...

ანა და მარიამი დედა-შვილი არიან, უსახლკარონი, არც მეგობარი ჰყავთ, არც ნათესავი. ანა 19-20 წლის იქნება, მარიამის წლოვანებას კი ვერ ვადგენ. არავინ იცის, საიდან მოვიდნენ და რატომ. ქართულად ანა გამართულად ლაპარაკობს, მარიამს კი ძალიან უჭირს, ამიტომ ზოგი ამბობს ბერძნები არიანო, ზოგი - სომხებიო, ზოგიც კიდევ - თათრებიო, მაგრამ მარიამი მართლმადიდებელია, სულ პირველის წერით დადის, ანა კი ურწმუნოა, წერა-კითხვის უცოდინარი. დადიან მთელი დღე, მიჰყვებიან წუთისოფლის დინებას. არ იციან რა უნდათ ცხოვრებისაგან, არც თხოულობენ რამეს და არც ელიან. ეცოდება

სოფელს ორივე, ვერ იკიდებენ ფეხს, ერთ ადგილას ვერ ძლებენ, ვერ ჩერდებიან... დადიან, დაწაწალეზენ ენერგიული, საქმიანი ნაბიჯებით, ხან ერთად, ხან - ცალ-ცალკე, ხან - სიცილით, ხან - ტირილით. მილაპარაკობენ. ზაფხულში კიდევ რა უჭირს, მაგრამ ზამთარში მათი ცოდვით ქვაც ატირდება. სად არ შეხვდებიან ჩაუცმელებს, სიცივისაგან აბუზულეებს, ცხვირპირდაწითლებულებს და, რა თქმა უნდა, მშვირებს.

ამ ბოლო დროს დედას მოეჩვივნენ. იციან, რომ დილით ადრე დედა სამსახურში ღუმელს აანთებს, ამიტომ, ექვს საათზე უკვე კართან დაგანან, გაყინულები, ფეხებს აბაკუნებენ და აკანკალულები ელოდებიან. დედა აუცილებლად რაღაცას აჭმევს, მოსულიერდებიან, ძვლებს გაითბობენ, წინა დღის ამბებს სიცილ-ტირლით მოუყვებიან და შემდეგ ისევ გარეთ გავარდებიან. სულ „საქმე“ აქვთ.

საღამოს მეგობრის დაბადების დღეზე წავედი. შორიახლოს ანას და მარიამს მოვკარი თვალი. თოვლ-ჰყავში დიდი ნაბიჯებით მიბოტებდნენ. ანას დაგლეჯილ ქოშებში ჭუჭყიანი, ნახევრად მიშველი, სიცივისაგან დაწითლებული ფეხის თითები მოუჩანდა. მაშინვე შემიხმინა:

- თამარ... გოო, მაიგა... აქ მოდი!.. - მივუახლოვდი, იცინის, ცქმუტავს, სიხარულისაგან ადგილს ვერ პოულობს, ყურებზე ჟღარუნა საყურეებს აქანავებს, ლურჯ მანიკურიან თითებს ცხვირწინ მიტრიალებს და მეუბნება:
- დილას, გოო, დედაშენმა ფული მაჩუქა, ფეხშიშველა რო დადიხარ და იყინები, წინდა იყიდო... ისა, წინდა რათ მინდა გო... - გაიდრიჭა, - აი, რა ლამაზებია... მაშინვე ჩამოვიკიდე... მერე ლურჯ ლაკვანსმული თითები მაჩვენა, - ხო მიხდება?... გავივლი, გამოვივლი, ვინმეს მოეწონები, მაშ როგორ გავთხოვდე? - უცებ სახე შეიცვალა (ასე ხშირად ემართება ხოლმე), დასერიოზულდა, თვალები თითქოს კეფაში წაუვიდაო, გადაატრიალ-გადმოატრიალა, თავი ჩაღუნა, მიწას ჩააცქერდა და მთელი სერიოზულობით დაამატა, - თანაც, მზითები ხო მინდა, - უცხად ისევ შეიცვალა სახე, ისევ გამხიარულდა, ვინ იცის, რა წარმოიდგინა, და აკისივისდა. ხელების ენერგიული ქნევით, საქმიანი ნაბიჯით გაუფევა სველ ქუჩას. დროდადრო გულში იხუტებდა ხელს, რომელშიც ლურჯი ლაკის შუშა ჰქონდა ჩაბლუჯული და, მგონი აღარც ახსოვდა დაწინაურებული მარიამი, რომელსაც ასევე დავიწყებოდა ანა... - გიჟი, სულელი, ჭკუანაკლული, რა თქმა უნდა, უბედურია, ბედისაგან დაცნული და დაჩაგრული, მაგრამ იმით მაინც არის ბედნიერი, რომ თავის უბედურებას ვერ აცნობიერებს, ვერ გრძნობს, - მეუბნება მამა, - ოჯახზე დარდი მათ არ აწუხებთ და გარშემომყოფები არ აინტერესებთ, ქვეყანა ხომ ჩირად არ უღირთ. ცხოვრობენ ამ სამყაროში და სხვა სამყაროს ოცნებებით საზრდობენ. იშვიათად ერთ ლუკმას და კმაყოფილები არიან, ბევრი და ცოტა მათთვის სულ ერთია, ამიტომ არავისი არაფერი შურთ, ბოლმა არ ახრჩობთ...

იქნებ მართალია მამა, იქნებ - არა. არაფერს ვამბობ, მაგრამ გულში ვჯიუტობ, არ ვეთანხმები. მჯერა, რომ კიდევ გრძნობენ, კიდევ ნერვიულობენ და უსახლკაროებს თბილი ბუდე ისევე უნდათ და ენატრებათ, როგორც - ჩვენ...

მხატვრული სახეები

გიორგი ბიჩინაშვილი

ბელურისნაირი ამინდი

სულ ძალისძალით გამომავდეს ჩემებმა, თორემ, აბა, მე რა მინდოდა ზღვაზე, ცურვა მე არ ვიცი და არაფერი. ერთი ეგ არი, რომ ჩამავალი მზის ნახვა მინდოდა და ვნახე კიდევაც...

ვფიქრობდი ოქროსფერ ქვიშასა და ცისფერ ზღვაზე, მაგრამ აქ ზღვა რაღაც ტალახისფერია და ქვიშა - ნაცრისფერი. არცაა ქვიშა - სილაა; გასაკვირი არც არაფერია - ეს ხომ ურეკია.

საღამოა, მზე ჩადის; მონადირეების მომლოდინე დაჭრილი ნადირივით მივგდებულვარ ნელთბილ სკამზე. მაჩურჩოლებს და თვალები მეხუჭება. ჩამავალი მზის სხივები ფრთხილად და შეუმჩნეველად მეღვრება სხეულში და მათრობს - ანტიკური ხანის სისხლისფერ ცღვინოზე უფრო მძაფრად.

მზე ჩამავალია და მეთევზეებს ნავები ნაპირზე გამოაქვთ. ჩამოვივლიან მზით გარუჯული მეთევზეების სილუეტები და შემომხედავენ ყველაფრისმცოდნე და ყველაფრისმნახველი კაცის თვალებით; ავდგები ახლა და გავყვები ამათ. იქნებ ზღვაში შესულეებს ერთმა ვეშაპისფერმა ტალღამ დაგეცხოს და ჩაგიტანოს ფსკერამდე. მერე იქ დავგრებით სუფევლანი - ამაყნი, ყველაფრის მცოდნენი და ყველაფრის მნახველნი. დავრჩებით მანამდე, სანამ ბანანათევზებად არ ვიქცევით. მერე ავყვებით წყლის დინებას, რომ შევეროთ დიდ ტალღას და თავზე გადავფრინოთ ერთ პატარა გოგონას და თავისივე ცინიზმით ნასაზრდოებ მჭლე კაცს.

ეჰ, არ გამოვა ეგ საქმე. ჩვენ, ქართველებს, ბელურებად ქცევა უფრო მოგვიხდება.

მზე ჩამავალია და ვგრძნობ, უკან რომ გავედევნოთ, ოცდაოთხი საათის შემდეგ მაინც აქ ვიდგებით ჩამავალი მზის შემყურეები.

მზის სხივები სიზმარულ ელფერს სმენს გარემოს. მეთევზეებმაც დავიწყებული სიზმარივით ჩაიარეს. გავაყოლე თვალი და არც გავტოკებულვარ. გული მწყდება იმ არარსებულ თავგადასავალზე, რომელიც ამ მეთევზეებთან ერთად გადამხდებოდა. ეჰ, ჩემი მაკაროვი უნდა წამომეღო. ან ყაჩაღად გავვარდებოდი, ან ლეგენდად ვიქცეოდი, ლამაზად, მაგრამ გაუმართლებლად.

აჰა, მოივს მოვახერხე თავის გვერდზე მიტრიალება. ვხედავ სახლს და მიკვირს, რომ ეს სახლიც ბელურასფერია. ვიცი: ამ პატარა სახლში სხედან ოთხნი - უდარდელნი და მხიარულნი - დედა, მამა, და და მმა. შეეცქვიან ალბათ შემწვარ ხეკს. მამა შეუკეთებს შემას ბუხარში. მაგრამ რა უნდა ბუხარს ზაფხულში? რავი, ალბათ ზუთხის მწვადებს წვავენ. ბოლი ამოდის საკვამურიდან.

ახლა ვიქცევი ბელურად და ბოლს ავყვები; მუდამ ამ ოჯახზე მაფიქრალი ერთ-ერთ ღრუბელზე ჩამოვჯდები; ვიქცევი ანგელოზად, რომელიც ამ ოჯახს დაიფარავს; ან ვიქცევი ცელქ ზავშვად - კუპიდონად ოქროს ისრებით და დავჭრი გულელებში ერთმანეთის უნახავ ადამიანებს.

არა, რაც მართალია, მართალია - მინადირია. თანაც ბევრჯერ. მოვკლავ დათვისა და მგელს. მოვკლავ მეღას და სპილოს. შეიძლება ბულბულსა და შამსაც ვესროლო, მაგრამ ბელურას ვერ ვესვრი! ალბათ იმიტომ, რომ ესროლო ბელურას, ნიშნავს, ესროლო საკუთარ თავს. შე კაი კაცი! ან ღმერთი არა გწამს, ან რამე არ გწამს ამქვეყნად? ოცი გრამი ხორცის გულსათვის როგორ მოკლავ ბელურას, საქართველოს ერთგულ ფრინველს, საქართველოს სევდას?!

ვაგდივარ ასე და გატოკებაც კი მეზარება. მგონია, რომ დავიძინებ ახლა, მაგრამ გავიღვიძებ სადღაც სხვაგან.

მზე ჩამავალია. ის მზე, რომელსაც უკან რომ მიჰყვე, არასოდეს ჩავა. მზე ჩამავალია და კონტურები ქრება. გარემო ნახევარტონებითაა ნახატი. ხვალ დავბრუნდები თბილისში და დავდგები ბირჟაზე მშაკაცებთან ერთად.

აქ, ჩემს უბანში, სულ ბელურასნაირი ამინდებია. აქ ქიქა არყით ვიკლავთ ნაღველს. მხოლოდ ვსაუბრობთ არაფერზე ან ყველაზე საინტერესო თემაზე. ვიდგებით ასე მანამ, სანამ ბელურებად არ ვიქცევით.

ისე, მე მგონი, აქაც არიან ბელურები. სახლის სახურავზე ჩამომსხდარან ლანდებივით. შეფიქრიანებულები და სევდიანები გასცქერიან ჩამავალ მზეს...

მეც გავყვები მათ მზერას და სევდით ამოვიღესაც სულს.

განა ჩამავალი მზე არსებობს?!

თავგადასავალი
გიორგი ჯამბურია

მატარებელი

ზინდიდან ნელ-ნელა გამოკრთენენ ხეები. შხაპუნობდა და ფანჯრიდან ასხამდა. ნიკომ ფანჯარა დახურა, ორივე ხელი ქვევით ჩასწია და ააფათურა.

- ნიკო, მოისვენე! - ამოსმახეს ქვევიდან.

- ბორჯომს ვეძებდი, - ჩასჩურჩულა და რაღაცას დასწვდა.

- ჩუმად!

- ჰო, ჰო, - მიიყუდა, ჯერაც ცივი იყო, ესამოვნა. საწოლის კიდეზე გიომ ხელი ამოყო.

- რა გინდა?

- მეც მომე.

- ჭიქა იშოვე და დაგისხამ.

- ბნელა.

- აანთე! - კიდეც მიიყუდა, აღარ წყუროდა, მაგრამ ახლა შუბლზე იდებდა, ვაგონში საშინლად ჩამოცხა. ისევ გაალო ფანჯარა, უფრო დაუშვა.

- გთხოვ, მომე!

- აანთე და ჭიქა აიღე.

- გაეღვიძებათ!

- მე რა, - ახლა ლოყაზე მიიღო და დაეცვარა.

- კაი, - გიო ადგა და როგორც შეეძლო ფრთხილად ეძებდა ჭიქას.

ორთქმავალში მემანქანეს ცოტა ჩასთვლია, კინაღამ გასცდა სადგურს და მოწყვეტით დაამუხრუჭა.

გიომ ფეხები ჰაერში აიქნია და ქვედა საწოლს დაემხო. იქ მწოლიარემ შეჰკვივლა და ზედა მეზობელიც გამოაფხიზლა.

- მმმ, რა მოხდა? - მოიფშვინტა იმან თვალები. ქვევით კი გიოს ორჯერ მაგრად მოარტყეს გაკვირვებულ სახეში ჩანთა.

- ვაიმე, ქურდები! მიიშველეთ! თიკო, დამალე ჩანთა! აი შენ, აი! აი შენ... - გიოს კიდეც ორჯერ მოხვდა და იატაკზე გაიშოტა.

- მე, მე ვარ, მაიკო დეიდა, გიო ვარ! - სახე დამალა და იქით გადაბრუნდა.

ახითხითებულმა ნიკომ სინათლე აანთო და ბორჯომის ბოთლი ჩუმად ისევ ჩადგა ქვემოთ. ახალგაშობილი თიკო გამოერკვა და ისიც აკისკისდა.

- რა გაცინებთ, თქვე მავნებლებო! გამიხეთქეს გული! - და ახლა ბევრად ნელა უთავაზა გიოს. გიო დარეტყინებული ძირს დაეშვა. კუპეს კარი ვიღაცამ ჯახუნით გააღო.

- დაკავებულია? - ორი დიდი ხურჯინი აკვიდა მხრებზე, ისედაც ჩია, მთლად მოხრილიყო. მოურიდებლად ჩამოჯდა გიოს საწოლზე და ხურჯინიც იქვე მიაგდო.

მაიკო დეიდა ყველაზე მალე გამოერკვა და რაც შეეძლო თავაზიანად მიმართა:

- უკაცრავად, მაგრამ ხომ ხედავთ რომ დაკავებულია,

- ესეც? - გიოს საწოლზე ააფათურა ხელი.

- ჩემია! - ქვემოდან გამოძვრა გიო.

- მააააბატიეთ, - გაწელა ახალმოსულმა.

- არა უშავს, - გაიღიმა გიომ და ჩამოჯდა, მაგრამ ისევ წამოხტა უცებ.

- სულ სველია!

ახლად შეამჩნიეს, რომ მოსული თავიდან ფეხებამდე გალუმპულიყო. გარეთ წვიმდა. მატარებელმა მძღველი შუაზე გაჭრა და ხეებს შორის მიქროდა. ხის ფულტროში პატარა ციყვი გაკვირვებული უყურებდა როგორ ელავდა, მერე მატარებელმა ჩაიქროლა და დამფრთხალი ციყვი, მაგრად ჩაეხუტა დედას...

- არა, ბოლოჯერ გეუბნებით, დატოვეთ კუპე! - აღშფოთდა მაიკო დეიდა, - ნიკო, დაუძახე გამცილებელს.

- აუ, მე რატო? - გიო ქვევითაა.

- გიოს ფეხი სტკივა!

- მაშინ თიკომ!

- მე მანდილოსანი ვარ! - იწყინა თიკომ.

- პრავადნიკ! - იკივლა მაიკო დეიდა, - პრავადნიიიკ!

- არ გინდათ რა, ქალბატონო, - სთხოვა ახალმოსულმა.

- ხო, ხო, რა ხდება?! - შემოვარდა გალემილი გამცილებელი.

- ეს ვაჟბატონი გაიყვანეთ, თუ შეიძლება!

- ეეს? - იკითხა გამცილებელმა და გიოს ქერში ჩაავლო. იმან ხელები გაასავსავა.

- ეგ კი არა, ეს!

- აბა, რომელი?

- მე! - უცხომ თავხედურად ჩაუკრა თვალი.

- ვაა, არკად ივანვიჩი, - გამცილებელმა მაგრად ჩამოართვა ხელი, - წამო ჩემთან, კუპეში, მაგარი არაყი მაქ!

- ვერა, შალიკ, მაპატიე, სამტრედიასი ჩავდივარ!

- სამტრედიას გავცდით! - ჩამოსმახა ნიკომ.

- აუუუ... - შეიცხადა იმან, მაგრამ მაშინვე გახალისდა, - მაშინ წამო, შალიკ, დავლიოთ, - ხელი გადახვია და გავიდნენ.

- ძლივს, - ამოიოხრა მაიკო დეიდა.

- სამაგიეროდ ხურჯინები დატოვა, - ახარა ნიკომ, სინათლე ჩააქრო და ისევ აიღო ბორჯომის ბოთლი. მაიკო დეიდას მალე ჩაეძინა. გიო სველ ლოგინზე ოხრავდა.

- ნიკო მწყურია! - გადაუჩურჩულა თიკომ.

- მერე მე რა?

- ბორჯომი მომე.

- უფ!

- გთხოვ!

- გადმოდი და მოგცემ, თორემ ყველას გაეღვიძება!

თიკო გადაძვრა. ნიკოს ისევ ისე ეჭირა თავი, მაგრამ გული ასჯერ უფრო სწრაფად აუშვებდა და ხელი დაიღო.

დიდხანს ისხდნენ ნიკო და თიკო, ფანჯრაზე აშხაპუნდა წვეთები. გიო სველ ლოგინს მიეწვია და ჩასთვლია. გრიხინით გაალო გამცილებელმა კარი და ხურჯინებს დაუწყო ძებნა. თიკო სწრაფად გადაძვრა. სინათლე აინთო. მაიკო დეიდამ ისევ შეჰკვივლა:

- პრავადნიიკ!

- აქ ვარ, ქალბატონო! - შეხტა ის.

- მაშინ, თვალს რომ გავახელ, აღარ იყო.

- ჩამოვედით, ქალბატონო, თითქმის.

- სად? - გამოფხიზლდა გიო და სისველემ ისევ შეაწუხა.

- ბათუმში, ბატონო, - კარებში არკად ივანევიჩი შემობანცალდა და ერთ ხურჯინს დასწვდა. კი დასწვდა, მაგრამ ველარ ასწია. მაშინ მაიკო დეიდას ახედა, ახედა და მოეჩვენა, რომ გული აუჩქარდა.

სულ წინ კი ორთქმავალში მემანქანეს ცოტა წასთვლიმა და შეშინებულმა სხარტად მოქაჩა მუხრუჭი. ნაწვიმარ ბათუმში ჭრილობით შეცურდა მატარებელი, რელსებს წითელი ნაპერწკლები გაყარა. გაჩერდა და როგორც შეეძლო, მაგრად ამოიხვნეშა. მთვრალი არკადი ძირს ეგდო, ზევიდან კი მთელი თავისი ჩანთა-ჩემოდნითურთ მაიკო დეიდა დაეცა.

მგზავრები ზოზინ-ზოზინით, ზლაზვნით ჩადიოდნენ ქვემოთ. ყველაზე ბოლოს მაიკო დეიდა, გიო, ნიკო და თიკო ჩავიდნენ. მოციხარი არკად ივანევიჩი უკან აედევნათ მხარზე აკიდებული ხურჯინებით.

- ტაქსი! - იწვილა მაიკო დეიდა.

- თქვენ როგორ გვეადრებთ, ქალბატონო, - გაუღიმა არკადი და პირველივე ტაქსს დაუსტვინა, - დაბრძანდით, მიგიყვანთ. ბიმაჩემი სახლს აქირავებს, სულ უფასოდ მოგცემთ თქვენ, - კარები გააღო, ხურჯინები ჩატენა და ბიჭებს ჩანთები ჩამოართვა. მაიკო დეიდა არ მისცა.

- არსადაც არ წამოვალთ, მე აქ საკუთარი სახლი მაქვს.

- რა ქუჩაზე? - ჩაკეითხა არკადი.

მაიკო დეიდა ერთი კი გაიფიქრა: როგორ მიმიხვდა, ყოჩალი კი ყოფილაო, და ბოლოს და ბოლოს დაჰყვა.

ნიკო ამაყად ჩაუღია წინ, მძღოლის გვერდზე და აღიღინდა. გიო არკად ივანევიჩს და მაიკო დეიდას შორის იჯდა და მოეჩვენა, ორივე ჩემკენ იურებო.

მარტო დარჩენილი გამცილებელი არყის ცარიელ ბოთლს იყუდებდა გამშრალ პირზე. მემანქანეს საჭესთან ტკბილად ეძინა. ფულუროში პატარა ციცი უფრო მაგრად ჩაკვრო დედას და გააღვიძა. დაფლეთილ ღრუბლიან ცაზე ირიჟრაჟა.

სასაცილო ისტორია

შალვა ჯოხარიძე

ხელები მაღლა!

- ხელები მაღლა!

...დათვმა გაკვირვებით შეხედა ანკესს, რომლითაც ემუქრებოდნენ. მერე მოძალადეებს დააკვირდა. ერთ-ერთი მათგანი არ დაიბნა:

- ჰენდე ხობ!..

შაბათ-კვირას, მექანიზირებული სამყაროსაგან დაღლილებმა, ძველი დროის გახსენება გადაწყვიტეს: კარებში ცხოვრება, ხეტიალი ჩაწურულ ხეობებში, ხევსურეთის საჯიხვეები, დამისთევა თუმ მეცხვარესთან, იმერეთის მწვანე ფერდობები, ცრემლიანი დაისები, ნისლით დაცვარული ზურგჩანთები, ალმასივით ბასრი კლდეები და მათზე დაკიდებული აქაფებული ჩანჩქერები, კახეთში ნადირობისას დამფრთხალი შველი მოენატრათ.

ეს ის დრო იყო, როცა წუთები მოგონებებს შლიდა.

ადგნენ და წავიდნენ „უიქენდზე“ რომელიღაც ნაკრძალში სათევზაოდ. თევზები დანომრილი აღმოჩნდა - თანამგზავრიდან აკონტროლებდნენ, ასე რომ, ბევრი ვერაფერი იხიერეს. დაათეს კი გადააწყდნენ. გაქცევას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ შუბლით წავიდნენ იერიშზე და ანკესი მიუშვირეს: ეგებ, თოფი ეგონოს და დაბოლდესო:

- ჰენდე ხობ-მეთქი!! - გერმანული უფრო არ უნდა ცოდნოდა ამ დათვს?!

დათვი ხომ ნადირია...

შებრუნდა და ბაჯბაჯით წავიდა. სანამ ფერდს მიეფარებოდა, ველარ მოითმინა მაინც, შედგა და ნიშნის მოგებით მიამახა ბიჭებს: - შვინ!!!

სიყვარულის ამბავი

ლელა ბერუჩაშვილი

ბებია

- ბებია, ასე უნდა დავიწყება? შენ შემოგვევლოს შენი ბებია! რამხელა გოგო გეიხარდე, ნენა. ახლა გინდა მოვლა-პატრონობა, თუ არა... შენ დეეკარე შენს პატრონს საცხა, არ გამხდარა შოლტივით?! - არ ჩერდებოდა გახარებული ბებია და გულში მიხუტებდა.

- რაფერ ხარ, გოგო, რა ხდება ქალაქში? - შემომეხვივნენ მეზობლები.

- უი, სალომე ჩამოსულა! - ჭიშკარში ჩემი მეგობრები გამოჩნდნენ.

- ნოდარი სადაა? - ვიკითხე შეცბუნებულმა.

- გარეთაა, გიცდის.

- რამხელა გაზრდილხარ, ნოდარიკო! - მივუახლოვდი ორდობემი გაჩერებულ ბიჭს.

- არც შენ ხარ ნაკლები! - მომიგო მან.

- სიგარეტის მოწევაც დაგიწყია, - ხელში სიგარეტი დავუნახე.

- არა, რას ამბობ! ზაჩომ მომცა, დამიჭირეო, - დაიმორცხვა ნოდარმა.

- მერე, ანთებული?! - მიუგე სიცილით. ნოდარი შეწითლდა. ხელში ჩამწვარი სიგარეტი ფეხით გასრისა.

- ამას რას ვხედავ?! - იკვილა ჭიშკარში გამოსულმა ბებია, - ბაღანა ჯერ არ ჩამოსულა და დეტაკე ხომ უცებ? შეჩვენებულო შენ! ნოდარიკო ორდობემი გაუჩინარდა.

- არ ენდო, ბებია! ამისთანას იმდენს გამეიცვლი, ვერ დეითვლი! - ჭკუას მარიგებდა გაკაპასებული ბებია.

სიყვარულის ამბავი

თეო მამრიკიშვილი

წვირანთ თედო

მოდო, შევიხედოთ წვირანთ ოჯახში, ყველა მხიარულოვს, კარგ ხასიათზეა, ერთი თედო გაშტერებულია, ამქვეყნიურს აღარ ჰგავს, თვალი სულ მეზობლის ფანჯრისაკენ გაურბის.

წვირანთ თედოს კარგი აზრი დაეზადა, წამოხტა, გარეთ გავიდა, მოაჯირზე ჩასრიალდა, ბაღში ყვავილები მოკრიფა და გვერდით სახლში ღობიდან გადაძვრა.

ღამე იყო. იმას, ვისთანაც მიდიოდა, ფანჯარაში სინათლე ენთო და სარკის წინ იპრანჭებოდა. წვირანთ თედო ფანჯარაზე ასულიყო და ჩუმად უთვალთვალებდა. გაშტერებულიყო თავისი რჩეულის სილამაზით, უცებ გოგომ შეამჩნია, წამოხტა, ფანჯარასთან მივარდა და დაუფიქრებლად თედოს ხელი ჰკრა. თედო ძირს დავარდა. სულ გატალახიანდა, ყვავილებიც

დაესვარა. გოგო აღელდა და თვითონაც გადახტა ფანჯრიდან. ბიჭს ზედ დაეცა. დაფეთებულმა თედომ არ იცოდა, რა ექნა. გოგომ იხელთა და თედოს ეძგერა ტუჩებში. თედო ტალახისფერი გახდა, არ მოელოდა ასეთ ბედნიერებას. გოგონას შერცხვა და აკვივლიდა. თედო გაოგნებული იყო, მთელი თხუთმეტი წელი ოცნებობდა ამაზე, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე სჯეროდა. უცებ გამოვარდა სახლიდან გოგონას მამა და გულიანად მიჰყვა ჩვენი წვირანთ თედო.

საუკეთესო სათაური

ანა ბერიშვილი

ახლოა ცამდე

ბნელი ოთახი, მაგიდაზე ნახევრად ჩამოღვენილი სანთელი, ლოგინი, რომელზეც მოხუცი წევს, მასთან კი პატარა ბიჭი. ალბათ, შვილიშვილი.

- ბაბუ! - დაუძახა მოხუცმა ბიჭს.

- ჰო, ბაბუ!

- დაიღლებოდი, ბაბუ, წაი ახლა, დეიძინე!

- არა ბაბუ, არ მეძინება.

- კაი მაშინ. ყველაფერი ისწავლე, ბაბუ?

- კი, ბაბუ, კი, შენ არ გეძინება? რამე ხომ არ წაგაკითხო? აი, შენი გაზეთი, გინდა, ბაბუ?

- არა, ბაბუ! რა გაზეთი?! შენ აქ მყავდე და მე მაგათ ბჟუტურს ვუსმინო?

- კაი მაშინ. ბაბუ, იცი რაფერ ვთამაშობ ფეხბურთს? აი, ხვიჩას შვილი რომაა, ორი გოლი გავუტანე, - სიამაყით ამბობს ბიჭი.

- მართლა, ბაბუ? კაი ბაღანა ხარ შენ, ხო იცი.

- ბაბუ, ომში ხარ ნამყოფი?

- რავა არა ვარ, ბაბუ! - გაიჯგინა მოხუცი.

- მერე? იბრძოდი ბაბუ? რაფერი ჩამოხვედი იქიდან, ჰა?

- რაფერი და ფეხმოტეხილი. რაფერი უნდა ჩამოვსულიყავი? - მოხუცმა ხელი წაიღო გულისკენ.

- გტკივა, ბაბუ? - აფორიაქდა ბიჭი.

- არაფერია! ბაბუ, ოცნება გქონია? - ჰკითხა მოხუცმა.

- რავა არა, ბაბუ! ი ჩვენი მასწავლებელი რო გვყავს ქიმიამი - ქალბატონი ჭუჭულა, ნეტა ოთხიანს გამომაცოლებდეს და არ მინდა არაფერი.

მოხუცმა გაიღიმა.

- მე, პატარა რომ ვიყავი, ვოცნებობდი, ნეტა ცას მივუახლოვდე-მეთქი. ახლა კი ცასაც და ყოლიფერსაც შენთან ყოფნა მირჩევნია. მოხუცი ლოგინზე მოეშვა.

- ბაბუ, თუ ცუდად ხარ, წამალს მოგიტან! ჰა, ბაბუ, მითხარი რამე! - თვალზე ცრემლი მოადგა ბიჭს.

- არა, ბაბუ, წამალი ვერ მიშველის მე. უკვე დრო მოვიდა. მივიღვარ ბაბუ, დეიძკოს მიხედე, არავის დააჩაგვრინო, - თქვა და თვალეზი დახუჭა.

ბიჭი დიდხანს იდგა ბაბუას საწოლთან. შემდეგ ადგა, ოთახიდან გავიდა, დედასთან მივიდა და უთხრა: - `ბაბუ წავიდა.~`

ახლოა ცამდე.

რიტმული პროზა

ნინო კვერდელიძე

გაზაფხულის სურათები

* * *

საღამოს მარტის წვიმას თოვლის ფიფქები ჩამოჰყვანა.... მე ტყემლის თეთრი ყვავილების ქარით მონაბერი ფურცლები მეგონა....

დილით ისევ ყინავდა, აივანზე ლოლუები ეკიდა. ფაფუკ თოვლში ლოლუებისაგან პატარა ქალაქი გაგაკეთე, ზოგი ლოლუა პირქუმ ციხე-სიმაგრეს ჰგავდა....

მზემ დამიდნო პატარა ქალაქი.

* * *

ჩვენში ხშირად არ იცის ნისლი,

მაგრამ იმ დილით იყო -

რძისფერი, მსუბუქი და სევდიანი,

ებურა არემარეს -

დედამიწის დიდი მონატრება.

ალარ ჩანდა თოვლიანი მთები...

არც ნაძვები და ჭადრები...

ალარც ადამიანები ჩანდნენ.

ალარც სახლები...

თითქოს უსასრულობაში მივდიოდით.

მაგრამ მივდიოთ.

ნეტა, ვის ენატრებოდა იმ დღეს ასე ძალიან?...

* * *

მე როცა ჩემს თავთან მარტო ვრჩები....

ვფიქრობ....

ვფიქრობ და, თითქოს, სამყარო სულ სხვანაირია.

როცა მარტო ვარ, ჩემში იღვიძებს რაღაც ანგელოზური.

როცა მარტო ვარ, მიყვარს...

როცა მარტო ვარ, ვოცნებობ...

როცა მარტო ვარ, ვიგონებ, ვიხსენებ....

როცა მარტო ვარ, მენატრება...
როცა მარტო ვარ, ვმდერი...
როცა მარტო ვარ, ვწერ...
მე ახლა მარტო ვარ და ვწერ...
და მე ვიცი, რომ როცა მარტო ვარ, მაშინაც არ ვარ მარტო...

* * *

ნელი ნიავი შეარხვეს ტოტებს და ახლადაფეთქებული კვირტები ნაზად დაგვიკრავს თავს.
გაზაფხულდა...
კარგა ხანია დილაობით ისე აღარ ცივა, როგორც ზამთარში. გაუშლელ ვარდის კოკორზე მძივებით ასხმულ
ახლადნაწვიმ ნამს ალურსიანი მზე ეთამაშება.
მერცხლები დაბრუნდნენ. ცისფერ, მოლიკლიკე ნაკადულში ნისკარტს და ლამაზ თავ-ვისერს ისველებენ.
საღამოს ახლადამწვანებული ხეების უკან ნელა ჩადის მზე და ცისარტყელას ფერებს ახატავს ცისფერ ცას. დროდადრო
მოლლილი ჩიტები შეიფართხალებენ მწვანე ფოთლებში და წამსვე გაყურდებიან. საღამოა და იძინებს დაქანცული ბუნება...

რიტმული პროზა

ნუცა მახარამე
ვიდრე გაზაფხულამდე

* * *

დამსხვრეულ სუნთქვად ჩამოთოვა. სახურავებმა ჭრიალი შეწყვიტეს, მახსენდება ფორაქით გაჩერებული ავტობუსი
და თოკებზე დაყრავებული ერთფერი სარეცხი, რომ უყურებ და სიცივით იჟღინთები...
დღეს ლამპიონებს არ აანთებენ - გამნათებელს თოვლში მატროს უნდა სეირნობა.

* * *

როცა ჩემი სუნთქვა მესმის, მაშინ ძალიან მარტო ვარ. ნისლები ჩამოწვა და ვიძინებ. აუუუუ, რა შორია გზა, ვერ
ვპოულობ და დაბნეულს მედიმება.
ვიღაც მეძახის დიდი ხანია, მაგრამ შორს არის და მე ხმას ვერ ვაწვდენ.
მეღვიძება.
პირში გამდნარი შოკოლადის გემო მაქვს და ყელი ჩახლეჩილი.
ჩემს ჩაის ლიმნის ოხშივერი ასდის.
ისევ მეძინება.
მეძახიან, მაგრამ მე ლიმნიანი ჩაის ორთქლში ვდნები...

* * *

მოტყვიისფრო დაედო ქალაქს. ჰაერში ზამთრის სუნი იგრძნობა. ხალხი ქუჩაში გაცრეცილი ფურცლებით დადის,
უფოთლო ხეები ნაღვეთ სანთლებს ჰგავს. ცა ჩამოიხნიქა, ალბათ მალე მოთოვს. დღეს კინოში ვაპირებდი წასვლას, მაგრამ
გადავიფიქრე - ჩემს ფანჯრებში ყველა დროის საუკეთესო ფილმი - ზამთარი...

* * *

უკან ჩემი დაზნარული ჩრდილი დამყვება და მეც ვიბზარები თიხასავით, მაგრამ ჯერ არ მოვმკვდარვარ.
ვცდილობ, დავეწიო ჩემს ჩრდილს, შევიერთო და გავმთელდე, მაგრამ ვერ ვეწევი.
ჩრდილი სულია.
ძირს დაცემულებს ჩრდილი არ აქვთ...

* * *

მარტოობა სიცივეში მიყვარს, ნაყინიც. მაურჟოლებს და თვალებს ვახამხამებ. სინაზე მყავე მიყვარს, როგორც
დაჭყლეტილი ჟოლო და ყვითელი წვიმა. სარკეებიანი ქოლგა მინდა, დაკეცვისას ჩემი წვიმისაგან გადარჩენილი სახე რომ
დავინახო. სიზმრების მჯერა, მაგრამ არ ვნახულობ. ველოდები თეთრ ცაზე ყვითელ მზეს, ამიტომ სახლში მუდამ მაქვს
გვირილები, რომლებსაც რძეში ვაწყო, უფრო რომ გაფითრდნენ. უძირო ფეხსაცმელებს ვიცვამ, სიტყვა „მინ“ დედას და ლიმნის
ტორტს მახსენებს, მთაში მემღერება და ვჭმუდები.
დათბა, ფიქრი მავიწყდება და ველოდები...

* * *

მთის მზე და სიცივე მენატრება, ბალახით დასვრილი ჯინსები, ზურგჩანთა, კვამლის სუნი რომ ასდის. კარვის
სიმყუდროვე და მიწის სიახლოვე, მთის დაღლა და წყურვილი მენატრება... მთის ოცნებებში ვიძირები და სადღაც მიხვეულებში
ვიკარგები...

* * *

ვიღვიძებ. შეგრძნებები სიზმარში დამრჩა, ვცდილობ ძილი შევიბრუნო, მაგრამ ამაოდ, ამიტომ ვიწყებ ფიქრს იმაზე,
როგორი იყო დედაჩემი ჩემს გაჩენამდე.
დედა ფანჯარასთან ზის. გაზაფხულის მზე გრძელ, წაბლისფერ თმაზე უთამაშებს. ბროწეულის სუნი აქვს და ალუჩისფერი
თვალეები. ძალიან ჩუმად მდგრის, თან მანდოლინაზე უკრავს, მამამ რომ ჩამოუტანა სახსოვრად. ტუჩები დაებერა და თითქოს,
წამწამებზე დაუგრძელდაო მოლოდინისაგან, ღია ცისფერი კაბა აცვია, ფეხშიშველია.
მზე თანდათან ინავლება. დედას ეძინება და ჩვენ პირველად ვხვდებით ერთმანეთს სიზმარში.
მე ცხრამეტ აპრილს გავჩნდი, და მას შემდეგ მხოლოდ სიზმარში ვხვდავ დედას - მშვიდს, ალუჩისფერი თვალებით.

* * *

თმა მზეზე ბზინავს, მარტივი მელოდია ვედარ ათბობს ჰარეს, ცივა. ყვავილების ხატვა გამომდის, მეტი არაფრის,
იმასაც ფოთლებს ვერ ვუხატავ. ძალიან მცივა, ალბათ მალე გაზაფხული მოვა და ყვავილების ხატვაც მომბეზრდება. მაღვიძებენ,
მე თავს ვიმძინარებ... ვიდრე გაზაფხულამდე...

ბარონ მიუნაუზენი

გიორგი ქოქიაური

თახვების ტბორი

I ქობის განახლება

ერთ მზიან დღეს, როდესაც გაზაფხული ძალას იკრებდა, გადაწყვიტე ტყეში წავსულიყავი და წინა წელს აშენებულ ქოხში დავრჩენილიყავი. მშობლები, როგორც იქნა დავითანხმე და მამინვე დავიწყე მარაგის შეკვრა. სამი საათის შემდეგ ყველაფერი ჩაბარებული მქონდა. შევრულ ბარგს ორი მელისი, სამი მგლის, ოთხი თახვის და სამი წავის ხაფანგი მიუმატე, ავიღე თოფი და გავუდექი გზას.

ორი საათის შემდეგ უკვე ჩემ მიერ წინა წელს აშენებული ქობის წინ ვიდექი. ქობი სხვანაირი მეჩვენა, რადგან ყინვასა და თოვლს ბოძები დაელო, ამიტომ გამოცვლა და ახლების მოტანა გადაწყვიტე. ქოხში შევედი, შიგნით ყველაფერი რიგზე იყო, ბარგი მოვიხსენი და მოვემზადე დამავალი ბოძების შესაცვლელად. ავიღე ნაჯახი, ქობის კარები დავკეტე და ბოძების მოსაჭრელად წავიდე.

გზაში ჩიტების ჭიკჭიკი მართობდა, მაგრამ ეს საამო ჟრიალი ჩივილის უშნო ხმამ დაარღვია. გზაში რამოდენიმეჯერ შემომხმა ბუჩქებიდან ფაჩუნი, მაგრამ ყურადღებაც არ მინიქცევია. ცოტა ხნის შემდეგ ეს ხმაური კვლავ განმეორდა, თანაც უფრო ახლოს და ხელი თოფისკენ წავიღე, მაგრამ შევედი - ბუჩქთან მოზრდილი მარცხლარბა დავინახე. მარცხლარბა ძალიან უწყინარი ცხოველია, მაგრამ თუ გაბრაზდა თავის ბასრ ეკლებს მშვენივრად ხმარობს. ერთი კი შემავლო თვალი და კვლავ ბუჩქებში გაუჩინარდა.

უკვე ბინდებოდა, როდესაც ოთხი ბოძით ხელში დავბრუნდი. ცოტა შევისვენე, მერე ცეცხლი დავანთე, საჭმელი გავაკეთე, დავნაყრდი და საწოლზე მივწექი, ცოტა ხნის შემდეგ ღრმად ჩამეძინა. შუა ღამით ბუს ძახილმა გამაღვიძა, მაგრამ მალევე დამეძინა. დილით ადრე შევუდექი საქმეს და მართლაც, დროულად, რადგან ბოძები უკვე გადატეხვავი იყო. საქმეს მალე მოვრჩი, შემდეგ ვისაუბრე და გადაწყვიტე ცოტა წამენადირა. ნადირობამ კარგად ჩაიარა, მელა და კურდღელი მოვაკალი. მერე ორივე გავატყავე, ტყავები გასაჭიმად და გასაშრობად ჯოხებზე გავაკარი, შემდეგ ავიღე თოფი და სახლისაკენ გავეწი, რომ ჩემი ძალი წამომეყვანა. თავიდანვე იმით არ წამოვიყვანე, რომ ცუდად იყო. მურა მგლისა და ნაგაზის ნაჯევარი იყო. ამასთან ერთად შესანიშნავად ჰქონდა განვითარებული სმენა და ყნოსვა. სახლში მისული ძალიან დადლილი ვიყავი, ამიტომ იმ დღეს იქ დავრჩი. მეორე დღეს კი, დილით ადრე გავუდექი გზას ჩემს ძალიან ერთად. მურა სამი წლის ღონიერი და ჰკვიანი ძალი იყო, ის მხიარულად მომდევდა, ხანდახან შეჩერდებოდა, ყურებს დაცქეტდა, შემდეგ ისევ გააგრძელებდა გზას. ხან რაღაც ააფორიაქებდა და შეიღრენდა.

ნამუადღევს უკვე ქობთან ვიყავით. მე შენახული კურდღელი ჩამოვხსენი და ცეცხლზე შევეწვი. ცოტა ხორცი მურას ვუწილადე, დანარჩენი კი მე შევჭამე. ქოხში შევედი. ხაფანგები ამოვაწყე, ავიღე თახვისა წავის ხაფანგები, ნაჯახი, თოფი და ორი მოზრდილი ხორცის ნაჭერი, ავუშვი მურა და მდინარეს ავუყვით. ხაფანგების დასადგმელი ადგილი მოვნიშნე. მეორე დღეს ადრე ავდექი და ხაფანგების გამართვა დავიწყე. მურაც თუ მახლდა. ორი ხაფანგიც არ მქონდა დადგმული, რომ წყლის დგაფუნ და წრიპინი მომესმა. ხაფანგებს თავი დავანებე, მურას საბელი შევაბი, თოფი მოვიმარჯვე და იქით წავიდე, საიდანაც წყლის დგაფუნ და წრიპინი შემომესმა. ჩემგან ორმოციოდ მეტრის მოშორებით მდინარეს ხუთი მეტრის სიმალიდან ნაკადული ერთვოდა და პატარა ჩანჩქერს ქმნიდა. სწორედ ამ ადგილიდან გავიგონე ხმა. ორიოდ წუთის შემდეგ მდინარიდან სამი წავი ამოვიდა, ისინი სირბილითა და წრიპინით აუყვანენ ნაკადულს, იქიდან მდინარეში თავით გადმოეშვნენ და მერე მდინარის პირას მზეს მიეფიცხნენ. მე გაკვირვებისგან პირი დავაღე, შემდეგ თოფი მოვიმარჯვე, გავტენე და ყველაზე დიდ წავს დავუმიზნე. სასხლეტს თითი გამოვკარი, გაისმა თოფის ხმა და ერთი წავი უძრავად დარჩა მდინარის მეორე მხარეს. მდინარის გადაცურვა არც ისე იოლი იყო, რადგან წყალი ჯერ კიდევ ცივი იყო, ამიტომ ნაკადულიდან მოვლა მომიწევდა. ხუთი წუთის შემდეგ უკვე მდინარის მეორე მხარეს ვიყავი და მკვდარ წავს მივჭერებოდი. წავი გავატყავე, ტყავი გასაჭიმად ჯოხებზე გავაკარი, ხორცი კი ქოხში წავიღე. შემდეგ ისევ ხაფანგების დადგმას მივებრუნდი და სადამოსათვის უკვე ყველა ხაფანგი მზად იყო. მეორე დღეს წვიმა და ქოხიდან არ გავსულვარ, არც ხაფანგები შემიმოწმებია. სადამოს წვიმამ იკლო, ცოტა ხანში კი სულ გადაიღო. დამე ორჯერ შემომესმა მგლის ყმული. გათენებისას ქობის ახლოს ფაჩუნი მომესმა, მურამ მრისხანედ შეუღრინა და კარებს ეცა. მე მამინვე ავდექი, ჩავიცვი, ავიღე თოფი და გარეთ გავიდე. მურა გნისათ გავარდა ქობის უკან.

II მურას პირველი მელა

მურა ქობის უკან რაღაცას ეცა, შემდეგ გააფთრებული ყეფა და კბილების ღრჭიალი მომესმა. მე ადგილზე გავკეცვი, რამოდენიმე წუთის შემდეგ მოწითალო მელას მოვკარი თვალი, რომელიც ბუჩქებში დამალვას ცდილობდა, მურა კი გააფთრებით ებრძოდა. მელას უკან მარჯვენა თათზე თითქოს რაღაც ჰქონდა ჩამოკიდებული და გაქცევას უშლიდა. მელა და მურა ველზე გავიდნენ, მელა წინ გარბოდა, მურა კი სავა დაეწეოდა, რომ მელა შემობრუნდა და ცხვირში გაჰკრა კბილი. მურა გააფთრებული ეცა და გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ერთხანს ბრძოლა შეწყდა, მე თოფი დავუმიზნე მელას, მაგრამ ჩემი ჩარევა საჭირო აღარ იყო, რადგან მურა ერთი ნახტომით მისწვდა მელას ყელს და ღრმად ჩასო თავისი ბასრი ეშვები. მელა საწყლად იქნედა ფეხებს, ბოლოს უსულოდ გაიშოტა. მურას მაგრად ეჭირა და არ ეშვებოდა უკვე მკვდარ მელას. მე მივუახლოვდი, მურამ პირი გაუშვა და გვერდით დაჯდა, თან ქომინებდა, ეტყობოდა, მელას წინააღმდეგობა გაეწია. კარგად დავათვალიერე და მამინდა შევამჩნიე უკანა თათზე წავის ხაფანგი. შეეხსენი, გავატყავე, ტყავი წამოვიღე, ხორცი კი იქ დავტოვე.

III ხაფანგების ზოლის აყოლებით

მეორე დღეს ადრე ავდექი და ხაფანგების შესამოწმებლად წავიდე. პირველ ხაფანგში არაფერი დამხვდა. დანარჩენ ხუთში კი ორი წავი და სამი თახვი იყო გაბმული. ცხოველები გამოვხსენი და შინისაკენ გავწი. შინ მისულმა ცოტა შევჭამე. შემდეგ გავატყავე. უკვე ბლომად ტყავები მქონდა. ცეცხლი უკვე ქრებოდა, ამიტომ ზედ კიდევ დავაყარე ფიჩხი და საჭმელი დავადე. მურას უმი ხორცი დავუღდე, მეც ვივანხმე და დავწექი. უკვე შუაღამე იქნებოდა, როდესაც მურას გააფთრებული ყეფა შემომესმა, მამინვე მივხვდი, რომ ახლომანხლო რომელიღაც დიდი ნადირი უნდა ყოფილიყო, თორემ მურა ასეთ ამბავს არ ატეხდა, ამიტომ თოფი ავიღე, გარეთ გავიდე, მურა ბუჩქებისაკენ იწეოდა, მთვარიანი ღამე იყო და კარგად მაგარჩიე ბუჩქებში როგორ გაიქროლა კარგა მოზრდილმა ცხოველმა. მე თოფი გავტენე, მურა ავუშვი და უკან გავყევი. მურა გნისათ გამოენთო ცხოველს, ასიოდ მეტრი გაირბინა, ერთ დიდ ხესთან შედგა და ზედ ასვლას ლამობდა. მამინვე მივხვდი, რომ ეს ცხოველი ფოცხვერი იყო და არც შევედი, როდესაც მთვარის შუქზე. ერთ დიდ ტოტზე ჩამალული ფოცხვერის მოელვარე თვალებს და ტანს მოვკარი თვალი. თოფი გატენილი მქონდა, ამიტომ პირდაპირ ვესროლე და ფოცხვერი დაბლა ჩამოვარდა. მურა ეცა ჯერ კიდევ ცოცხალ ფოცხვერს და სული გააფრთხოვინა. ფოცხვერის ლამაზი ტყავი ჩემს დანარჩენ ტყავებს შევმატე.

IV ირემზე ნადირობა

მეორე დღეს, დილით ადრე ავდექი, საჭმელი გავაკეთე, ვისაუბრე და გარეთ გავიდე. ქობიდან ას ნაბიჯზე, მდინარესთან ირმის კვალს წავაწყდი და გადაწყვიტე გავყოლოდი. ორასი მეტრი რომ გავიარე, ნაკვალევს უფრო ახალი კვალი უერთდებოდა და შემდეგ ბუჩქებში იკარგებოდა. ბუჩქების იქით კი მინდორი იწყებოდა და მერე ტყეს უერთდებოდა. უცებ რქების ჯახუნნი მომესმა და მინდორისაკენ გავიხედე. ორას ნაბიჯზე ორი მამალი ირემი დავინახე, ერთმანეთს ებრძოდნენ. ამ ბრძოლის მიზეზი კი ფური იყო, რომელიც მოშორებით იდგა და თვალს ადევნებდა ბრძოლას. მეც ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო და ყურება დავუწყე. ათწუთიანი ბრძოლის შემდეგ ერთმა ირემმა მეორეს ფერდში ღრმად შეასო თავისი მძლავრი რქა

და ამან გადაწყვიტა კიდევ ბრძოლის ზედი. დაჭრილი იქაურობას გასცილდა. გამარჯვებული კი ფურთან ერთად თვალს მიეფარა. მე დაჭრილ ირემს გაეყვი. ხუთი წუთის შემდეგ ერთი დიდი მუხის ქვეშ მდგომ დაჭრილ ირემს მოვკარი თვალი. თოფი დავუმიზნე, გაისმა თოფის ხმა და ირემი მოსხლეტით დაეცა ძირს.

V თახვების ტბორი

მდინარის პირას ხაფანგებს ვამოწმებდი და ქობიდან საკმაოდ შორს წავედი. ძალიც მახლდა. უცებ იქვე, მდინარის პირას, ხიდან რაღაც ხმა მომესმა, თოფი გავტენე და თვალის დახამხამებში, ისე, რომ სროლაც ვერ მოვასწარი, სადღაც გაუჩინადა. ასიოდე მეტრის გავლის შემდეგ გავიგებინა და სიხარულისაგან კინაღამ არ შევეყვირე - იქვე, სულ რაღაც ორმოციოდ მეტრში თახვების ტბორი იყო. ეს ხომ საუკეთესო ადგილი იყო ხაფანგების დასადგმელად. ცოტა ხანს ვაკვირდებოდი თახვებს, მერე კი უკან გამოვბრუნდი და თან ხაფანგების დასადგმელი ადგილები მოვნიშნე. შემდეგ ქობში დავბრუნდი, ავიღე ხაფანგები და მონიშნულ ადგილებზე საგულდაგულოდ შევნიღბე, ისე, რომ აუცილებლად დავიჭერდი თახვებს. შემდეგ კი სწრაფი ნაბიჯით ქობისკენ გავიქე. ნახევარ საათში უკვე ქობში ვიყავი და ჩაის ვსვამდი.

VI მურა და მგელი

დილით სასიამოვნო სუნნი იდგა, მზე ამოსულიყო და გადავწყვიტე ცოტა წამენადირა. მურა ავუშვი, ავიღე თოფი და მდინარეს ავუყვი იმ იმედით, რომ რაიმე ნაკვალევს გადავწყდებოდი, მაგრამ ვერაფერი ვნახე. უცებ მურამ კბილები დაკრიჭა, ბეწვი ყალყზე დაუდგა და წინ გავარდა. მე უკან ვეღარ მივყვი და ჩამოვრჩი. ცოტა ხნის შემდეგ ბუჩქებს იქით მურა და ზურგზე ბეწვაჯაგრული მგელი დავინახე, მგელი და მურა პირისპირ იდგნენ და კბილები დაეკრიჭათ. რამოდენიმე ხანს ასე იყვნენ, მერე უცებ ერთმანეთს ეცნენ და ვეღარ ვარჩევდი, რომელი იყო მურა და რომელი მგელი. ხუთ წუთს გასტანა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ. ბოლოს უსულოდ დაგდებული მგელი და ფეხმოტეხილი მურა დავინახე. მურას ფრთხილად გავუსინჯე ჭრილობა და ნაჭრით გადავუხვიე. მგელი კი გავატყავე.

VII მურა ძალას იკრებს

მგელთან ბრძოლის შემდეგ მურა სუსტად იყო და ფეხს ვერ ადგამდა. სამი დღის შემდეგ პირველად გაიარა და ისიც კოჭლობით. ორი დღის შემდეგ კი საბოლოოდ დაუბრუნდა უწინდებური ძალ-ღონე.

ერთ საღამოს მურა და მე მდინარის პირას ვიყავით, მურა აფორიაქდა და ტყისაკენ გაიქცა, მეც უკან მივყვი და როდესაც დავეჩვიე, მურა კბილებდაკრეჭილი რაღაცას უღრენდა წაქეული ხის ქვეშ. იქვე ბუჩქს ამოვეფარე და თვალთვალი დავუწყე, ცოტა ხნის შემდეგ ხის ქვეშიდან მურამ ენოტისებური ძალი გამოაგდო. იგი ხეზე აცოცებას ცდილობდა, მურა ეცა და მაგრად ჩაასო კბილები, არც ენოტმა დააკლო და ბეჭში უკბინა, ბოლოს ძალაგამოცლილმა ენოტმა ვეღარ გაუძლო და წინააღმდეგობას უკლო. სწორედ ამას ელოდა მურაც და ყელში ეცა. ერთ წუთს ასე ეჭირა, მერე კი პირი უშვა. მე მივედი, ენოტი ქობში წავიღე და მისი ფაფუკი ტყავი დანარჩენებს შევმატე.

VIII შინისაკენ

ჩემი მოგზაურობა დამთავრდა, ამიტომ შევკარი ბარგი, ავიღე ჩემი ტყავები, ჩავეკეტე ქობის კარი და გავიქე შინისაკენ.

გზაში ვფიქრობდი, რომ ისევ დავუბრუნდებოდი ველურ ბუნებას, ამ მშვენიერ სამყაროს. რადგან სამუდამოდ არ ვეთხოვებოდი. დადგებოდა გაზაფხული და დავბრუნდებოდი ისევ ჩემს ქობში, ჩემს საყვარელ მურასთან ერთად და კვლავ გავაგრძელებდი ველურ ცხოვრებას, რომელიც მე ასე მიზიდავს.

ბრომდენი

ანი არაბული

ბრომდენი

ბრომდენი მიდიოდა ტყეში. ფეხქვეშ არ ხმაურობდა მიწა. მხოლოდ გუგუნებდა ძალიან ჩუმად, დახშულად. მარტო ბრომდენს ესმოდა. ბრომდენს ვიწრო თვალელები ჰქონდა და სწორი, პრიალა თმები. კიდევ ცხვირი - არწივივით, და კეთილი ღმილი.

ბრომდენს უყვარდა მიწა.

მიდიოდა და ტოტებს ფრთხილად სწევდა. ეკალმა გაკაწრა, მაგრამ ვერ იგრძნო. ბრომდენს ძლიერი სხეული ჰქონდა. კიდევ დედა ჰყავდა და მამა, რომელსაც ცის ყურება უყვარდა. კარავში რომ იჯდა, მამინაც მალა იყურებოდა, ბრომდენს რომ უყურებდა, მის თვალელებშიც ცას ხედავდა. მაგრამ მაინც მიწა ერჩია. ერჩია ყოფილიყო აქ და უბრალოდ ეოცნება ცაზე არწივივით სრიალზე.

მამა ბელადი იყო.

მერე, ოდესღაც ბრომდენიც გახდა. ოღონდ მარტო თავისი თავისათვის.

ბრომდენი მიდიოდა და ნელა სწევდა ტოტებს. ფეხქვეშ რაღაც გუგუნებდა ძალიან ჩუმად, დახშულად, ისე, როგორც ბრომდენის გულში, და ვერ ამოაღწევდა ვერც ერთიდან. ეს ორივემ იცოდა. ბრომდენს ესმოდა მიწის და ფრთხილად ადგამდა ფეხებს.

ბრომდენი ეძებდა გადამწვარ ბანაკს.

მამა აღარ ოცნებობდა ცაზე. უკვე იქ იყო.